პროლეტარიებო ყველა ქვეყნისაკ, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა
და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი
21 იანვარი
1942 წ.
№ 17 (6332)
ფასი 15 კაპ.

ბიბლიოთეკა

18 წლის წინათ გარდაიცვალა კაცობრიობის უდიდესი გენიოსი ვ. ი. ლენინი.

ლენინის დიად საქმეს განაგრძობს და წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ მიგვიძღვის ამხანაგი სტალინი.

ლენინ-სტალინის ძლევამოსილი დროშით ვანარმოებთ ჩვენ ბრძოლას გათამამებულ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან. ლენინ-სტალინის დროშით მივიწევთ ჩვენ გამარჯვებისაკენ. ეს დროშა თავს დაფრიალებს დიად საბჭოთა სახელმწიფოს, ლენინის პირმშოს, რომელსაც სიყვარულით ზრდიდა, იცავს და წინ მიუძღვის სტალინი.

ლენინ-სტალინის დროშით წინ, გამარჯვებისაკენ!

თვრამეტი წლის წინათ, 1924 წლის 21 იანვარს, გორკაში, მოსკოვის ახლოს, გარდაიცვალა ვლადიმერ ილიასძე ლენინი. შესწყდა რევოლუციის გენიოსის, თანამედროვეობის უდიდესი ადამიანის მგზნებარე გული ცემა. გარდაიცვალა რევოლუციური აზოოვნების ტიტანი, პროლეტარული რევოლუციის დიდი შემქმედი, მშრომელთა ბელადი და მასწავლებელი, ბოლშევიკთა სახელოვანი პარტიის ორგანიზატორი, III კომუნისტური ინტერნაციონალის ფუძემდებელი, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს პირველი მშენებელი.

დიდი ლენინის გარდაცვალების 18 წლისთავის აღნიშვნა საბჭოთა კავშირის ხალხებს წელს უხდებათ განსაკუთრებულ ვითარებაში, დიდი სამამეული ომის მრისხანე დღეებში, როცა ჩვენს ქვეყანას მუხანათურად შეპოესია ჰიტლერული გერმანიის ყაჩაღური არმია. ვერაგ მტერს განზრახვა ჰქონდა, უეცარი თავდასხმით დაეპყრო ჩვენი ქვეყანა, დაემონებინა მისი თავისუფლებისმოყვარე ხალხები. მაგრამ მტერი სასტიკად მოსტყუვდა აწგარიშში. საბჭოთა ქვეყანა შეუდრეკლად შეხვდა საფრთხეს და მტერს სამეფო-სასიცოცხლო ომი გაუმართა.

დიდმა ლენინმა ჩვენი ქვეყნის წინამძღოლობის საათავეში დასტოვა მის მიერ შექმნილი, მუშათა კლასის საქმისათვის ბრძოლებში მრავალგზის შეპრწმებული პარტია, ბოლშევიკთა პარტია, რომელსაც ხელმძღვანელობს ვ. ი. ლენინის სახელოვანი თანამებრძოლი, მისი საქმის ღირსეული განმგრძობი ამხანაგი სტალინი.

წავიდა რა ჩვენგან, ლენინმა გვიანდერძა წმინდად დავიცვათ პარტიის წევრის სპპატიო სახელი, თვალისჩინი-ვით დაეფუფფოხლოვეთ პარტიის რიგების მოლიანობას, განვამტკიცოთ და გავაძლიერთ პროლეტარიატის დიქტატურა, მუშათა და გლეხთა ურღვევი კავშირი, ყოველმხრივ განვამტკიცოთ და გავაფართოოთ სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი. ბელადის უსაფრთხოებისა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით სასახელოდ იქნა შესრულებული. ამის შედეგია სოციალიზმის დიადი გამარჯვებანი ჩვენს ქვეყანაში, რაც ჩაწერილია სტალინური კონსტიტუციაში.

და როდესაც ჰიტლერელმა ავაზაკებმა განზრახეს საბჭოთა ხალხების დამონება, მათი თავისუფალი ცხოვრებისა და კულტურის მოსპობა, სოციალიზმის მონაპოვართა წართმევა და საბჭოთა სახელმწიფოს განადგურება, ისინი გამანადგურებელ წინააღმდეგობას წააწყდნენ. მთელი საბჭოთა კავშირის ხალხები შეუდრეკელ და ურყევ დიად ძალად დაირაზმნენ გერმანიის პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ.

გერმანელ ფაშისტთა და მათ „მოკავშირეთა“ შემოსეულ არმიებს მოაქვთ ჩვენი ხალხის ურიცხვი მატერიალური და კულტურული ფასეულობის დანგრევა და მოსპობა, მშვიდობიანი მოსახლეობის მიერ თავდადებული შრომით შექმნილი ქონების დაკარგვა, კატორღული შრომა, შიმშილობის, სისხლიანი რეჟიმის შემოღება. ფაშისტი ბარბაროსები შეეტრალებლად ქალებს მშვიდობიან მოსახლეობას, სპობენ და ბღალავენ უდიდეს ისტორიულ, კულტურულ ძეგლებს. ნაცისტმა ვანდალებმა აოსხრეს, ბაბილწეს და ბოლოს გადასწვეს ლევ ტოლსტოის სახლი და მუზეუმი იასნაია პოლიანაში, გაანადგეს ა. ჩეხოვის სახლი ტაგანროგში, დაარბიეს და გადარეცეს ჩაიკოვსკის სახლი-მუზეუმი ქ. კლინში, დაანგრიეს ტ. შევჩენკოს ძეგლი ქ. კანევში, რითაც მთელი საბჭოთა ხალხის მწველი სიძულვილი დაიმსახურეს.

გერმანელმა ფაშისტებმა საბჭოთა სახელმწიფოს მოსპობა განიზრახეს. მაგრამ ამას ვერასოდეს ვერ მოესწრებიან ჩვენი დროის ეს ბარბაროსები.

საბჭოთა სახელმწიფო განუწყვეტლივ იზრდება, ეითარდება და ძლიერდება. საბჭოთა სახელმწიფო წყობილება აგებულია მუშათა და გლეხთა ურღვევ კავშირზე. ეს კავშირი შეჭაშნა და განამტკიცა დიდმა ლენინმა. იგი უძლეველ ძალად გადაიქცა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით. მტრის ვერავითარმა ინიციმა ვერ შესძლეს ამ მონოლიტური კავშირის შესუსტება.

მუშათა და გლეხთა ამ ურღვევმა კავშირმა გაუძლო გამოცდას ახლანდელ ომშიც, რომელიც თავს მოახვია ჩვენს ხალხს გერმანიის აყაჩაღურმა იმპერიალისტმა. ჰიტლერელი ბანდიტები ფიქრობდნენ შეესუსტებინათ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა სოლიდარობა, მაგრამ მარცხი განიცადეს.

ასევე ურღვევი აღმოჩნდა სსრ კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა და თანამშრომლობა. ეს მეგობრობა დიდი ლენინის პირმშოს წარმოადგენს. ამ მეგობრობას განამტკიცებდა და განამტკიცებს ამხანაგი სტალინი. მტრები ცდილობდნენ შეერყიათ საბჭოთა ხალხების სტალინური მეგობრობა, გაეჩაღებინათ შუღლი ხალხებს შორის, ერთმანეთისადან დაეშორებინათ ისინი და ამით შეერყიათ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება. მაგრამ აქაც გუქარწყლდათ იმედები ფაშისტ არამზადებს.

პროლეტარული რევოლუციის დიდი თეორეტიკოსი ვ. ლენინი განასხვავებდა სამართლიან და უსამართლო ომებსა. იგი სასტიკი მოწინააღმდეგე იყო უსამართლო, დამპყრობლური ომებისა და მხარს უჭერდა სამართლიან ომებს, რომელნიც მიზნად დაისახავდნენ დემოკრატიის დაცვას, ჩაგრულთა განთავისუფლებას მონობის უღლისაგან. ლენინ სოციალისტური სამშობლოს უდიდესი პატრიოტი იყო და დაუცხრომლად მოუწოდებდა საბჭოთა რუსპუბლიკების დაცვისაკენ.

ლენინი ასწავლიდა პარტიას ომის პრინციპებში სამხედრო ყაიდაზე მუშაობის მოწყობას, რათა ყველაფერი დაქვემდებარებულიყო ომის ინტერესებისადმი. „... რაკი ომზე მიდგება საქმე, ყველაფერი ომის ინტერესებს უნდა დაემორჩილოს, ჩვენი ქვეყნის მთელი შინაური ცხოვრება უნდა დაემორჩილოს ომს, ამ მხრივ ოდნავი ყოყმანიც კი დაუშვებელია“... — ამბობდა ლენინი ამ ბრძენი მითითებით ხელმძღვანელობს ლენინ – სტალინის პარტია მიმდინარე სამამეულო ომში.

დიდმა ლენინმა გვიანდერძა ყოველმხრივ განამტკიცოთ სოციალისტური სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები — წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ამ ანდერძსაც ღირსეულად ასრულებდა და ასრულებს ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა ხალხი დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით. მძლავრი სოციალისტური ინდუსტრიის შექმნამ უზრუნველჰყო წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის შეიარაღება სათანადო აღჭურვილობით.

წითელი არმიის სპრძოლო იარაღის ძალა საკმაოდ იგემეს გერმანელმა ფაშისტებმა და მათმა იტალიელმა, ფინელმა, უნგრელმა და რუმინელმა ავანტიკვანებმა. მძაფრი სამამეული ომის დღეებში ამხანაგი სტალინი — წითელი არმიის უმაღლესი მთავარსარდალი, პირადად ხელმძღვანელობს საბრძოლო ოპერაციებს. მისი ბრძნული წინამძღოლობით გმირული წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლებმა მრავალი გამანადგურებელი დარტყმა აგებეს ფაშისტურ ფაშიტ მარაველებს, გარეკეს ისინი მოსკოვის მისადგომებიდან, დონის როსტოვიდან, ტიხვინიდან, კალინინიდან, ელეციდან, კალუგიდან, ქერჩიდან და ფეოდოსიიდან, აიჩაღ დამპყრობელთაგან გათავისუფლეს ასობით ქალაქები და ათასობით დასახლებული პუნქტები.

მაგრამ მტერი ჯერ კიდევ ძლიერია და მის გასანადგურებლად ჯერ კიდევ დიდი ბრძოლაა საჭირო. ჩვენი ამოცანაა გავათავისუფლოთ ჩვენი ტერიტორია და ჩვენ ხალხები გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან, დავეხმაროთ ევროპის ხალხებს მათს განთავისუფლებელ ბრძოლაში ჰიტლერული ტირანის წინააღმდეგ. ამისათვის კი საჭიროა გავანადგუროთ გერმანელ დამპყრობთა სამხედრო ძლიერება, გავლენტოთ უკლებელ ყველა გერმანელი ოკუპანტი.

ამ მიზნის მისაღწევად, როგორც ამხანაგი სტალინი გვასწავლის, საჭიროა, რომ ჩვენს არმიასა და ჩვენს ფლოტს ქვედითად და აქტიურად დაეხმარის მთელი ჩვენი ქვეყანა, რომ ჩვენმა მუშებმა და მოსამსახურეებმა, ქალებმა და კაცებმა, კოლეტიურნეებმა — ქალებმა და კაცებმა შეუსვენებლივ იმუშაონ საწარმოებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე და ფრონტს მიაწოდონ ყოველივე, რაც კი საჭირო იქნება ვერაგი მტრის მოსასპობად.

ლენინ – სტალინის ძლევამოსილი დროშით ეაწარმოებთ ჩვენ სამამეული ომს პირსისხლიანი ფაშიზმის წინააღმდეგ, ამ დროშით მიგიღიარო ჩვენ გამარჯვებისაკენ. ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ვერ დამცველს წინ მოიძღვრე და იფარავს ლენინ-სტალინის დიადი დროშა. ამ დროშით ისინი მალე საბოლოოდ გალეტენ ოკუპანტს და სამუდამოდ დასამარებენ კაციჭამია ჰიტლერელებს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

20 იანვრის დღის ცნობა

19 იანვრის ღამის განმავლობაში ჩვენი ჯარები აქტიურ სამამარ მოქმედებას განაგრძობდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ.

• • •

ორი უკანასკნელი დღის განმავლობაში ამხ. ვლასოვის მებრძოლებმა (დასავლეთის ფრონტი) ხელთ იგდეს მტრის 27 ქვემეხი, მათგან 6 შორსმსროელი, 44 ტყვიამფრქვევი, 243 ავტომანქანა, 7 საწყობი, 3 რადიოსადგური. გერმანელებმა მოკლულთა სახით დაკარგეს 600 ჯარისკაცი და ოფიცერი: სხვა უბანზე ამხ. ბელოვის ცხენოსნები პოულობდნელად დაესხნენ თავს მტრის და დახოცეს 500 ჯარისკაცი და ოფიცერი.

• • •

ამხ. ლისენკოს ნაწილის მებრძოლებმა, რომელიც დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებს, 3 საათის ბრძოლის შედეგად დაიკავეს სოფელი ა. და ხელთ იგდეს გერმანელთა 3 ტანკი, 6 ქვემეხი, 5 ავტომანქანა, 40 ათასი ვაზნა და დიდძალი სხვა სამხედრო ქონება. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის ჯარისკაცთა და ოფიცერთა 200 გვამი.

• • •

უმცროს ლეიტენანტ ტეპლიაკოვის ბატარიის არტილერისტებმა მოხერხებულად შენიღბეს ქვემეხები, ახლოს მოუშვეს გერმანელთა 4 ტანკი და პირდაპირი დამიზნებით დაცხრილეს. ამავე ბრძოლაში ამხ. ტეპლიაკოვის ბატარეამ მოსპო მტრის ნაღმსატყორცნი ბატარეა.

• • •

ორიოლის ოლქის პარტიზანთა გაერთიანებულმა რაზმებმა ბრიანსკის ტყეებში აღაა შემორტყეს დიდ დამსჯელ რაზმს, რომელიც გერმანელებმა გაგზავნეს პარტიზანების დასაჭერად. მოახდარ ბრძოლაში მოკლულ იქნა 200 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა.

• • •

32-ე ქვეითი პოლკის მე-2 ასეულის გერმანელ ეფრეიტორს რუდოლფ ტუნშს, რომელიც მოკლულ იქნა სევასტოპოლის მისადგომებთან, დღიური აღმოაჩნდა. მოგვყავს მოკლე ამოწაწერები დღიურიდან:

„13 დეკემბერი. მივიწევთ ფრონტისაკენ სევასტოპოლზე იერიშის მისატანად.

17 დეკემბერი. რუსები მარჯვედ გვიშენენ სწორედ იქ, სადაც ჩვენ ვიყოფებით.

18 დეკემბერი. კრანი, ჰერბერტი, ჰაინცი და მანსელდერი მოჰკლეს. დღეს ბევრი მოგვიკლეს და თითქმის 30 პროცენტი დაგვეჭრეს.

20 დეკემბერი. როგორც იქნა, სანგრები გავიკეთეთ. ღამე და მთელი დღე ბრძოლაში გავატარეთ. თოფის ზალპები, ნაღმსატყორცნისა და არტილერიის სროლა იყო. ადამიანი გაგიჟდება. ედგარი დასჭრეს, დონალდ

20 იანვრის საღამოს ცნობა

20 იანვრის განმავლობაში ჩვენი ჯარები კვლავ უკან ახევინებდნენ გერმანელ ფაშისტთა ჯარებს დასავლეთისაკენ. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოსდის. ჩვენმა ჯარის ნაწილებმა ქალაქი **მოჟაისკი** დაიკავეს. ხელთ ვიგდეთ ტყვეები.

19 იანვარს მოსპობილია გერმანელთა 16 თვითმფრინავი. ჩვენ 5 თვითმფრინავი დაკარგეთ.

• • •

19 იანვარს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა მოსპეს გერმანელთა 39 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა, 730-ზე მეტი ავტომანქანა ჯარითა და ტვირთითურთ, 12 ქვემეხი გუნდებიანად, 6 საზენიტო-სატყვიამფრქვევი წერტილი, ცეცხლი წაუკიდეს რკინიგზის 2 ეშელონს, დაანგრიეს 21 სარკინიგზო ვაგონი, გაპფუტეს და ნაწილობრივ გაალტეს მოწინააღმდეგის 7 ბატალიონი ქვეითი ჯარი.

• • •

ამხ. ალექსეევის ნაწილმა დაიკავა რაიონული ცენტრი ოსტაშევო და ხელთ იგდო მტრის 15 ტანკი, 101 ავტომანქანა, საომარი მასალის 2 საწყობი და სხვა დავლა.

• • •

სოფელ პლესნოსკოესთან (დასავლეთის ფრონტი) მტრის წინააღმდეგ გაფთრებული ბრძოლის დროს ამხ. ბობროვის ნაწილმა მწყობრიდან გამოიყვანა მოწინააღმდეგის 500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ იგდო სამხედრო ქონების დიდი ალაო. სხვა უბანზე უმცროს ლეიტენანტ პოდრეზოვის ქვეგანყოფილებებძოლებმა წარმატებით მოიგერიეს მტრის ბატალიონის კონტრიერიში. ბრძოლის ველზე დარჩა გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა 200-მდე გვამი. ამ ბრძოლაში წოთელარმიელმა მ. ფომინმა გერმანელთა 2 ტანკი დააზიანა თავისი ტანკსაწინააღმდეგო თოფით.

• • •

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედმა ჩვენმა ნაწილმა გერმანელები გარეკა დასახლებული პუნქტიდან და ხელთ იგდო 100 ავტომანქანა, 9 ქვემეხი, საწვავის საწყობი და სურსათის საწყობი, დიდძალი ტყვიამფრქვევი, შაშხანა, მოტოციკლი და სხვა სამხედრო ქონება.

• • •

წოთელარმიელმა ამხ. ეასილიევმა სანგარში აღმოაჩინა მტრის 15 ჯარისკაცი, შეუმჩნეველად მიხოდა სანგრთან და გრანატები დაუშინა. 15-ვე ჰიტლერელი ვაალტეტ იქნა.

• • •

მოსკოვის ოლქის გერმანელთა მიერ დაპყრობილი ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი ამხ. ფ-ს მეთაურობით წარმატებით იბრძვის ჰიტლერელების წინააღმდეგ. ქვემოთ მოგვყავს რაზმის მეთაურის დღიური ნაწყვეტები:

6 იანვარი. გზაში წავაწყდით გერმანელთა 2 საზღვარს ტვირთითურთ. საზღვრები მოვსპეთ. წინააღმდეგობა გაგვიწია 5 ჯარისკაცმა და ოფიცერმა, რომლებიც დავხოცეთ.

8 იანვარი. მოვშალეთ მტრის სატელეფონო ხაზი. მოვსპეთ კიდევ ორი საზღვარი. მტერს ტყვია დაეფშვნეთ, რის შედეგად დავხოცეთ 5 გერმანელი ჯარისკაცი და 2 ოფიცერი.

9 იანვარი. საფარიდან მოვკალეთ 6 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომლებიც გზას პატრულობდნენ.

11 იანვარი. თავს დავესხით მტრის :C0 საზღვრის ალალს. ავტომატებისა და შაშხანის ცეცხლით გავწყვიტეთ 45 გერმანელი. ცეცხლი გავუჩინეთ 2 ფურგონ საომარ მასალას.

12 იანვარი. 2 უბანზე ამოვეჭერით კაბელის ხაზი. მეორე ადგილას მოგვალეთ მტრის კავშირგაბმულობა 600 მეტრზე. მოგვკლეთ 3 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. დავნაღმეთ გზის რამდენიმე უბანი.

• • •

გერმანიის 402-ე ველობატალიონის 1-ლი ასეულის ტყვე ეფრეიტორმა ფრიც გრუშემ დაკითხვისას შემდეგი ცნობები მოიყვანა უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ბატალიონის ზარალის შესახებ: „მოკლულია 55 კაცი, დაჭრილია 112. მწყობრიდან გამოვიდა აგრეთვე 112 დამზარალი ჯარისკაცი. გარდა ამისა, 120-ზე მეტი ავადმყოფი ჯარისკაცი ჰოსპიტლებში გაიგზავნა“.

• • •

ხემნიციდან (გერმანია) კურტ რემი სწერდა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე მყოფ გერმანელ ოფიცერ-ეფრეიტორ მაქს იუნჰასს: „მანდ ცხოვრება კი არა, ტანჯვა გაქვთ. მაგრამ ჩვენც ასეთ მდგომარეობაში ვართ. კვლავ მოვიდა მოკლულთა სია; მათ შორის არიან კურტ ჰაინი და ფრიც მილერი. სეერთიდ აქაც, სამშობლოშიც ცუდი მდგომარეობაა. ხშირად საშველიც არ მოგვეპოვება“.

• • •

ქალაქ ციიცის (გერმანია) მახლობლად ჰიტლერელმა ბანდიტებმა ცეცხლი წუკიდეს ბარაკებს, რომლებშიც ტყვე წოთელარმიელები იყვნენ. იმათ, ვინც ცეცხლმოდებული ბარაკებიდან გამორბოდა, მტარვალები ტყვიამფრქვევით ხოცავდნენ.

ქრონიკა

სსრ კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარმა **დეკანოზიეს** დივიზიის კოჭმესრის წოდება მიანიჭა.

ჯანკებისა და თვითმფრინავების მშენებლობის ფონდი

კალინინი, 18 იანვარი (ჩაკფსი). კალინინის ოლქის კოლმეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა სახსრების შეგროვება ტანკებისა და თვითმფრინავების ასაგებად. სახსრების შეგროვება დიდი წარმატებით მიმდინარეობს ოვანესშენსკის რაიონში, სადაც გადამწყვეტეს ადგილს ეჭიროს „ჩაკალოვი ჰიტლერს“. ამ საქმის ინიციატორმა. დღიურის სახელობის კოლმეურნეობამ მშენებლობის ფონდში პირველმა შეიტანა 3 ათასი მანეთი. მის მაგალითს ათობით სხვა კოლმეურნეობებმა მიბაძეს. მოკლე ხნის მანძილზე რაიონში 30 ათასზე მეტი მანეთი შეგროვდა.

ჯყიბულის შახსეებში

ტყიბული („ომეფნისტის“ კორ.) ტყიბულ-ჭალაანაურის ტრესტის ერთეულთა ძლიერი და მოწონებეა მაღარო, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს, ლენინის დღეებს აღნიშნავს ჭალაანაურის ამოღების მძლავრი ალმაკლონით.

დადგა რა სტახანოფური ეფსტაფეტი, ლენინის სახელობის მაღაროს მუშათა კოლექტივები 19 და 20 იანვარს ერთიორად გაადიდეს ქვანახშირის ამოღება. 20 იანვარს პირველ ცვლაში მაღაროს მოლაანად შეასრულა ქვანახშირის ამოღების გეგმა.

ქვანახშირის ამოღების გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით დაწინაურდა სამოცდაერთეული ლ. ეიშაკიძის უბანი და მფლობელები ოსტატის შალვა ცირეკიძის ცვლა. მტვერიფიანმა ე. ლაზარიდარიძემ 10-დან 20 იანვრამდე ქვანახშირის დატვირთვის გეგმა 176 პროცენტით შეასრულა, ამავე პერიოდში ქვანახშირის მოგროვეთ გეგმა ა. ცქიტაშვილმა და ნ. ჯუპარიშვილმა თითოეულმა 226,3 პროცენტით შეასრულეს.

დ. საგელაშვილი

როგორ ავიღეთ ქალაქი მოჟაისკი

დასავლეთის ფრონტი, 20 იანვარი (საკადესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ღღეს საბჭოთა საინფორმაციო ბიურო იუწყება, რომ ჩვენმა ჯარებმა ქალაქი მოჟაისკი დიაკავეს.

აი როგორ ვითარდებოდა ამბები მოჟაისკთან.

ჩვენი ნაწილები, რომლებმაც სწრაფულად დამაარცხეს მოწინააღმდეგე დარეზოფთან, განაგრძობდნენ მტრის განუწყვეტელ დევნას მოჟაისკისაკენ. გერმანელებმა მოჟაისკის მისადგომებს თავდაცვის მძლავრი რაკეტა შეამარტყეს. ჩვენმა ჯარებმა მამაცურად გადნახოროკიეს შემოვლის მანევრი, გაარტყეს გერმანელთა თავდაცვის ძლიერ გამაგრებული ხაზი, სძლიეს მტრის წინააღმდეგობა და ზედ მოეთაქეს მიადგნენ.

აქ ჩვენი მებრძოლები წააწყდნენ ახალ, მეტად ძლიერ თავდაცვის ხაზედაც, რომელიც ოკუპანტებმა ჯერ კიდევ ოქტომბერში ეაგეს 2-3 კილომეტრზე მოჟაისკის აღმოსავლეთით, სიმაგრეთა მოჟაისკის ხაზი შეიცავდა მთელ რიგ სატყვიამფრქვევო მაწყრა საცეცხლე წერტილებს, რომლებიც ბაფოკის რიგით იყო განლაგებული ერთმანეთისაგან 50-100 მეტრის დაშორებით. ძლიერ გამაგრებული მიწური საცეცხლე წერტილი ზეხამგზავლი იყო სასროლ საბრნეთი და ზურსეულ-ბასსაცეცხლეთის სისტემასთან. ამ ნაგებობათა წინ რამდენიმე წყუბად მოწყობილი იყო ავეთელნარეთი. გარდა ამისა, გერმანელებმა ძლიერ დანაღმეს მთელი ადგილმდებარეობა ქალაქის ნაწილ.

გმირმა საბჭოთა ქვეითმა ჯარმა მძლავრი დარტყმებით გადალახა სიმაგრეთა ეს ხაზი. მოეთიქეს მისადგომებზე გერმანელებს ტეტნიკისა და ცოცხალი ძალის უდიდესი ზარალი მოუეიდათ. ქალაქისაკენ მიმავალ გზაზე ჩვენ ენახეთ გერმანელ ჯარისკაცთა და ოფიცერთა რამდენიმე სასაფლაო, დაზიანებული ტანკები და ავტომობილები, მიტოვებული ქვემეხები. საბჭოთა არტილერისტებმა სასახელო იმოქმედეს. მათი გამანადგურებელი ცეცხლი თავზარს სცემდა ფაშისტებს და უდიერეთ ზარალი მიაყენა მათ. მოჟაისკის ნახლოლად გერმანელთა თავდაცვის მთელი წინა კიდე სავსეა ლრმა ორმოებით, რომლებშიც გერმანელთა გვამები ჰაკია.

ქალაქში მფოფა გერმანელთა ჯარებმა. ბრძანება მიიღეს ბარაბინსკი და ბოგოიეთ-ბოგ. მათ ყველა საგარეუბნო სოფელი დაამაგრეს, ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილის სმლეები წინააღმდეგობის კვანძებად იქეცეს. მოეთიქეს ცეტერიდან და საბრეთ დასავლეთ განაპირა უბნებიდან მტერი ნაღმსატყორცნის მასირებულ ცეცხლს უშენდა ჩვენი ჯარების საბრძოლო რიგებს.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა ქვეითნი მოეთიქეს სამხრეთ-დასავლეთ განაპირა უბანში, ეიგზლოსაკენ შეიჭრნენ და დაიკავეს იგი. გერმანელთა მრავალ „კონტრშეტევის“ წარმატება არ მოსდოდა. ამავე დროს ქალაქის ჩრდილოეთ განაპირა უბანში შეიჭრნენ ჩვენი მეორე ქვეგანყოფილების მებრძოლები, გარსშემოეარტყნენ სახლებს და მოსპეს იქ ჰასაფრებული მეფაშისტები.

ერთ-ერთმა ჩვენმა ნაწილმა ქალაქის იერიში დიიწყო. ხამოოკეუ, მაგრამ სასტიკი ბრძოლის შემდეგ მებრძოლებმა აიღეს მოეთიქეს გარეუბანი—ჩერტანოკი და ეუღიოდ ვანნენენ მტრის პირისპირ აღმოსავლეთი განაპირა უბანში. გმირულად იბრძოდნენ უმრავლეს ლეიტენანტ ამხ. კოზინეცეეს ქვეგანყოფილების მებრძოლები, რომლებიც პირველნი შეიჭრნენ მოეთიქეს. საბჭოთა ქვეითებმა სძლიეს სახლებსა, სარდაფებსა და სხვებებზე ჩასაფრებულ გერმანელთ მეფეტმატეთა წინააღმდეგობა და სწრაფად მიიწევდნენ ქალაქის ცენტრისაკენ. მალე ჩვენი ნაწილები მოეთიქეს ფასაფეთი და განპირა უბნებში გვიდნენ. ნ-ნაწილის საკ. კ. პ. (ბ) ბიურის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. კოლტუნოვმა წოთელი ერთმა ალფილალი ქალაქის საბჭოს შენობაზე. მოეთიქეს ეკვალ საბჭოთა ქალაქი. გმირ მოეთიქეს ალეგბისას ჩვენმა ნაწილებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა. ტეტნებში ყველგან ჩყონა გერმანელებს მიერ დატოვებული საბრაგულები, ქვემეხები, ტყვიამფრქვევები და სხვა საბრაგელი. ჩვენმა ნაწილებმა 100 ფაშისტი ტყვე წოთელარმიელი ეაათავისუფლეს. საბჭოთა ჯარები განაგრძობენ მტრის დევნას მოეთიქეს იქით.

ი. დენისოვი.

21 იანვარს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის სახ. თეატრში მოწვეულია პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა აქტივის სამკლოვიარო კრება სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებთან ერთად, მიძღვნილი

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XVIII წლისთავისადმი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები შეიკიან თავიანთ მანდატებით, დანარჩენები კი ბარათებით, რომლებსაც [illegible]ილებენ საქ. კ. პ. (ბ) თბილისის [illegible] რაიკომები.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელფლოტელ ი. მ. სივკოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სამაგალითოდ შესრულებისა და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის წითელფლოტელ ივანე მიხეილის-ძე **სივკოვს** მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 17 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მფრინავ უმცროს ლეიტენანტ ი. მ. ივანოვისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სამაგალითოდ შესრულებისა და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მფრინავ უმცროს ლეიტენანტ იაკობ მიხეილის-ძე **ივანოვს** მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 17 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მე-2 რანგის კაპიტან ი. ა. კოლიშკინისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სამაგალითოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის მე-2 რანგის კაპიტან ივანე ალექსანდრეს-ძე **კოლიშკინს** მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 17 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ბატალიონის კომისარ გ. ა. ტარიანიკისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გმირობის გამოჩენისათვის **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება მიენიჭოს და **ლენინის** ორდენი და **„ოქროს ვარსკვლავის“** მედალი გადაეცეს ბატალიონის კომისარს გრიგოლ ავერიანის-ძე **ტარიანიკს**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 16 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

შეიარაღების სახალხო კომისარიატის № 2 ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ახალი სახის იარაღის წარმოებისა და ათვისების დარგში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის შეიარაღების სახალხო კომისარიატის № 2 ქარხანა დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1942 წ. 18 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

შეიარაღების სახალხო კომისარიატის ფრუნზეს სახელობის № 7 ქარხნის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ახალი სახის იარაღის შექმნისა და წარმოებით ათვისების საქმეში მთავრობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის დაჯილდოებულ იქნას შეიარაღების სახალხო კომისარიატის ფრუნზეს სახელობის № 7 ქარხანა **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1942 წ. 18 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გენერალ-მაიორ პ. თ. მოსკვიტინის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის **წითელი დროშის** ორდენით დაჯილდოებულ იქნას გენერალ-მაიორი პეტრე თევდორეს-ძე **მოსკვიტინი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 16 იანვარი.

თავდაცვის სახალხო კომისარიატში

87-ე მსროლელი დივიზიის გვარდიის მე-13 მსროლელ დივიზიად გარდაქმნის შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის წარმოებულ მრავალრიცხოვან ბრძოლებში 87-ე მსროლელმა დივიზიამ მამაცობის, გულადობის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის ნიმუშები გვიჩვენა. 87-ე მსროლელმა დივიზიამ, რომელიც განუწყვეტლივ ეწეოდა ბრძოლას გერმანელ დამპყრობლებთან, უდიდესი ზარალი მიაყენა ფაშისტთა ჯარებს და თავისი გამანადგურებელი დარტყმით სპობდა მტრის ცოცხალ ძალას და ტექნიკას. იგი განუწყვეტლივ ანადგურებდა გერმანელ დამპყრობლებს.

გერმანელ დამპყრობლებთან სამშობლოსათვის წარმოებულ ბრძოლებში გულადობის, სიმტკიცის, მამაცობის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის გამოჩენისათვის, პირადი შემადგენლობის გმირობისათვის, 87-ე მსროლელი დივიზია გარდაქმნილია გვარდიის მე-13 მსროლელ დივიზიად. დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი **ა. ი. როდიმცევი**. დივიზიას გადაეცემა გვარდიის დროშა.

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატში

სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალთა 1-ლი სანაღმო-სატორპედო, 72-ე წითელდროშოვანი შერეული, მე-5 და მე-13 გამანადგურებელი საავიაციო პოლკების გვარდიის პოლკებად გარდაქმნის შესახებ

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის მრავალ საჰაერო ბრძოლაში განსაკუთრებით ისახელეს თავი სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალთა 1-ლმა სანაღმო-სატორპედო, 72-ე წითელდროშოვანმა შერეულმა, მე-5 და მე-13 გამანადგურებელმა პოლკებმა.

1-ლმა სანაღმო-სატორპედო საავიაციო პოლკმა ოთხნახევარი თვის საბრძოლო მოქმედებისას საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 37 თვითმფრინავი და მიწაზე მოსპო 12 თვითმფრინავი, მოახდინა 93 თვითმფრინავ-გაფრენა მოწინააღმდეგის მსხვილ ცენტრებში, ჩამოჰყარა მტრის ობიექტებზე 13 ათასი ბომბი, ჩააწყო მტრის წყლებში 113 ნაღმი, ჩასძირა მოწინააღმდეგის 18 ტრანსპორტი, მოსპო მტრის 133 ტანკი, 93 ავტომანქანა და 11 ქვემეხი.

72-ე წითელდროშოვანმა შერეულმა საავიაციო პოლკმა ოთხნახევარი თვის საბრძოლო მოქმედებისას საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდო 118 თვითმფრინავი და მოსპო მტრის აეროდრომებზე 24 თვითმფრინავი, საიერიშო მოქმედებით მოსპო მტრის ქვეითი ჯარის 2.000-ზე მეტი კაცი, ჩასძირა 3 ტრანსპორტი, მოსპო მოწინააღმდეგის 3 ნაპირო ბატარეა, მრავალგზის დაანგრია ნავმისადგომები და ნავებსაშენი მოწინააღმდეგის ნავსადგურებში.

მე-5 საავიაციო გამანადგურებელმა პოლკმა 5 თვის საბრძოლო მოქმედებისას მოახდინა 5.899 საბრძოლო გაფრენა, ჩაატარა 389 საჰაერო ბრძოლა, 62-ჯერ მიიტანა იერიში მოწინააღმდეგის ჯარებსა და აეროდრომებზე, დახოცა მტრის ათასამდე ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპო 105 თვითმფრინავი და 55 ტანკი.

მე-13 გამანადგურებელმა საავიაციო პოლკმა 6 თვის საბრძოლო მოქმედებისას 5.945 გაფრენა მოახდინა, იერიში მიჰქონდა მოწინააღმდეგის ტრანსპორტებსა და ჯარებზე, საჰაერო ბრძოლებში მოსპო მოწინააღმდეგის 117 თვითმფრინავი, მოსპო 12 ტანკი, 387 ავტომანქანა, 20 კატერი, 3 საზენიტო ბატარეა.

გერმანელ დამპყრობლებთან საჰაერო ბრძოლებში მედგრობის, გულადობის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის გამოჩენისათვის, პირადი შემადგენლობის გმირობისათვის აღნიშნული პოლკები გარდაქმნილია გვარდიის პოლკებად, სახელდობრ:

1) 1-ლი სანაღმო-სატორპედო საავიაციო პოლკი — გვარდიის 1-ლ სანაღმო-სატორპედო საავიაციო პოლკად — პოლკის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი პოლკოვნიკი **ე. ნ. პრეობრაჟენსკი**.

2) 72-ე შერეული საავიაციო პოლკი — გვარდიის მე-2 შერეულ საავიაციო პოლკად — პოლკის მეთაური კაპიტანი **ი. კ. თუმანოვი**.

3) მე-5 გამანადგურებელი საავიაციო პოლკი — გვარდიის მე-3 გამანადგურებელ საავიაციო პოლკად — პოლკის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი მაიორი **ჰ. ვ. კონდრატიევი**.

4) მე-13 გამანადგურებელი საავიაციო პოლკი — გვარდიის მე-4 გამანადგურებელ საავიაციო პოლკად — პოლკის მეთაური მაიორი **ბ. ი. მიხაილოვი**.

აღნიშნულ პოლკებს ეძლევათ გვარდიის დროშები.

კომუნისტი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

წითელი არმიის ჯარის ნაწილების ორდენებით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნან:

ლენინის ორდენით

205-ე მსროლელი პოლკი.

წითელი დროშის ორდენით

58-ე მსროლელი პოლკი

314-ე ცალკე საზენიტო საარტილერიო დივიზიონი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 16 იანვარი.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„შჩ-323“ და „დ-3“ წყალქვეშა ნავების წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სამაგალითოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის დაჯილდოებულ იქნან **წითელი დროშის** ორდენით:

1. წყალქვეშა ნავი „შჩ-323“.
2. წყალქვეშა ნავი „დ-3“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. კალინინი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1942 წლის 17 იანვარი.

წითელი არმიის უფროსთა შემადგენლობის დაჯილდოება ორდენებით

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა წითელი არმიის უფშემადგენლობის პირთა ჯგუფი:

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან:

1. პოლკოვნიკი მოსე გრიგოლის-ძე **გრივნინი**,

2. გენერალ-მაიორი ანდრია ივანეს-ძე **ზელენცოვი**.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 10 კაცი, **წითელი ვარსკვლავის ორდენით**—2 კაცი.

(საკდესი).

წითელი არმიის უფროსთა შემადგენლობის დაჯილდოება ორდენებითა და მედლებით

გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააჯილდოვა წითელი არმიის უფშემადგენლობის პირთა ჯგუფი.

წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია პოლკოვნიკი ივანე დანიელის-ძე **ჩერნიახოვსკი**.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებულია 3 კაცი, მედლით **„საბრძოლო დამსახურებისათვის“**—2 კაცი. (საკდესი).

ბრიტანეთის ელჩ ბ-ნ სტაფორდ კრიფსის მიმართვა საბჭოთა კავშირის ხალხისადმი

„პრავდის“ რედაქციამ მიიღო საბჭოთა კავშირის ხალხისადმი ბრიტანეთის ელჩ ბ-ნ სტაფორდ კრიფსის შემდეგი მიმართვა ბ-ნ კრიფსის სსრ კავშირის ელჩის პოსტიდან წასვლასთან დაკავშირებით და რედაქციისადმი მისი თხოვნა—გამოაქვეყნოს ეს მიმართვა:

„ვტოვებ რა საბჭოთა კავშირს თქვენს დიად ქვეყანაში გატარებული წელიწადნახევრის შემდეგ, მსურს მადლობა მოგახსენოთ დიდსულოვანი და მეგობრული დამოკიდებულებისათვის, რაც თქვენს წრეში ვპოვე.

მე შემიყვარდა თქვენი დედაქალაქი მოსკოვი, რომელიც ძვირფას ქვასავით ძევს ფართოდ გადაჭიმულ, ტყით დაფარულ ვაკეებს შორის, და მე შემიძლია ჯეროვნად მივხედო იმ მგზნებარე ძალას, რომლითაც თქვენ ბარბაროს ნაცისტთა ურდოებისაგან იცავდით მოსკოვსა და ლენინგრადს, თქვენი კულტურის ორ ცენტრს. ცხარე ბრძოლის დროს თქვენთან ვცხოვრობდი და მოწმე ვიყავი იმ ტანჯვისა, რომელსაც მოთმინებითა და რწმენით იტანდით, რაც თქვენი საქმის სამართლიანობას ემყარება. ღირსი გავხდი პატივისა ჩემი თვალით მენახა უკვდავი სიმამაცე თქვენი წითელი არმიისა და სამხედრო-საჰაერო ძალებისა, რომლებიც ნაბრძოლი და ტანჯვით აღსავსე თვეების განმავლობაში ნელა ჰქანცავდნენ გერმანიისა და მისი დამხმარე არმიებს, იმ არმიებს, რომლებიც აქამდე არავის დაუმარცხებია. აღტაცებული ვარ აგრეთვე თქვენი წითელი ფლოტის შესანიშნავი გმირობით, რასაც ისინი იჩენენ რიცხობრივად ჭარბი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მზაკვრულმა შეიარაღებულმა თავდასხმამ, რომელიც მუხანათმა ვერაგმა მტერმა გაუფრთხილებლად მოახდინა თქვენზე ერთადერთი მიზნით, რომ დაემორჩილებინა გერმანიის დიქტატორის ბატონობის უგუნური წყურვილი,—ტანჯვის მძიმე ტვირთი დააკისრათ თქვენ, თქვენს განსაცდელს ჯერ კიდევ არ მოუღებია ბოლო.

მაგრამ მე მუდამ მწამდა, რომ თქვენ ამ სასტიკ თავდასხმას გაუმკლავდებოდით, და ამ უკანასკნელი რამდენიმე კვირის განმავლობაში მოპოვებული თქვენი გამარჯვებანი ამას მე უფრო მეტად, ვიდრე სხვა ვინმე, მეტად აღტაცებული ვარ თქვენი მამაცობითა და მედგრობით. ჰიტლერის სიმაცრის ახალ წყობილებას თქვენ დაუპირისპირეთ საუკეთესოთა ერთგულება თქვენი ქვეყნისადმი, თქვენი სიმამაცე და თქვენი დისციპლინა, რომელიც ჩანერგილი გაქვთ სამშობლოს და მისი დიადი კულტურული მემკვიდრეობის სიყვარულით, გეგმიანი ეკონომიკის თქვენი ახალი სისტემის მიღწევებით და იმ გამარჯვებით, რომლებიც ამ ეკონომიკამ მოიპოვა თქვენი ფართოდ გადაშლილი რესპუბლიკების სოფლის მეურნეობაში, ქარხნებსა და შახტებში—ერთი სიტყვით, რაც ჩაგრირეთ თქვენმა წარსულმა და აწმყომ.

ჰიტლერის ქედმაღლობა თქვენმა მასირებულმა დარტყმამ გასტეხა, და დღეს მისი ჯარები უკან იხევენ დასავლეთ რუსეთის იმ ქალაქებითა და სოფლებით, რომლებიც დატანჯული არიან ომით და რომლებიც თქვენ კვლავ სიამაყით იკავებთ, როგორც თქვენი თანამოქალაქეების განმათავისუფლებელნი.

მთელი ცივილიზებული მსოფლიო ლაპარაკობს თქვენს გამარჯვებებზე, და ჩვენ, თქვენი მოკავშირენი, ვამაყობთ რომ თქვენი მოკავშირეები ვართ.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ბოლო არ არის. ფაშიზმის ძალა შერყეულია, მაგრამ დათრგუნვილი არ არის. ჯერ კიდევ ძნელი ბრძოლები მოგველის, სანამ გამარჯვებას ვიზეიმებდეთ. თუმცა თქვენი წარმატებები დიდია, მაგრამ ისინი არც ჩვენ და არც თქვენ უფლებას არ გვაძლევენ შევანელოთ ბრძოლა. ჩვენი ორი დიადი ქვეყნის კავშირი კიდევ უფრო უნდა განმტკიცდეს და გაძლიერდეს, რათა ერთობლივ შევქმნათ იმ ამოცანის შესრულება, რომლის გადაწყვეტაც ასე კარგად დავიწყეთ. თითოეულმა ჩვენგანმა მტკიცედ და მაგრად უნდა ჩასჭიდოს ხელი იმ შესაძლებლობას, რაც მოგვეპოვება თქვენი შეიარაღებული ძალების მამაცობამ და ბრიტანეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ხანგრძლივმა და დაძაბულმა მხნეობამ, რომლებიც ორი მძიმე წლის განმავლობაში იმისათვის იბრძოდნენ, რომ ღია ყოფილიყო ოკეანის გზები, ის გზები, რომლითაც ამჟამად თქვენ დახმარებას იღებთ ჩვენგან და ჩვენი ამერიკელი მოკავშირეებისაგან. ჩვენ უნდა ვანადგუროთ მტერი ყველგან, სადაც კი შევძლებთ. ბრიტანეთის არმია თავის როლს ასრულებს ლიბიაში, სადაც გერმანელები და მათი ფაშისტი დამქაშები ვერ უძლებენ ჩვენი ჯარების შეტევას და უკან იხევენ. ჩვენ მათ არ უნდა მივცეთ არც მოსვენება, არც დრო იმისათვის, რომ თავიანთი არმიები გადააჯგუფონ, არც იმის შესაძლებლობა უნდა მივცეთ, რომ დაგვესხან ომის რომელიმე ახალ ასპარეზზე. მათ ხელიდან გამოვაცლათ ინიციატივა, და ჩვენ სამუდამოდ უნდა წავართვათ იმის შესაძლებლობა, რომ კვლავ ჩაიგდონ ხელში ეს ინიციატივა. ჩვენი ქვეყნების ყოველმა მამაკაცმა და ყოველმა ქალმა უნდა დაძაბოს თავისი ძალა როგორიც უნდა იყოს სამუშაო, რაც უნდა დიდი იყოს მოთხოვნები.

შევამციროთ მსოფლიო აგონიის ვადა ჩვენი ძალ-ღონის დაძაბვით. მთელი ჩვენი სიმძლავრით დავაჩქაროთ ის მომენტი, როდესაც ჩვენ ერთად შევძლებთ ბოლო მოვუღოთ ომის საშინელებას, ბოლო, რომელიც მშვიდობიანობის ოცნებას მოუტანს მთელი მსოფლიოსათვის და განუზომელ იმედებს უფრო ხელმისაწვდომს ხდის ბედნიერებასა და სიუხვეს, რაც მის დიდებულ ნატვრას წარმოადგენს.

როდესაც გამარჯვებას მივაღწევთ, რაც ასე მტკიცედ გვჯერა, ჩვენი ორი ქვეყანა ღირსი იქნება წინ გაუძღვეს ევროპის ხალხებს ცივილიზაციისა და გონიერული თანამშრომლობისაკენ. ჩვენ ერთობლივად უნდა ვიაროთ წინ ამ გამარჯვებისაკენ. ერთად უნდა ვიმუშაოთ და უნდა შევაღწიოთ იმ უფრო ბედნიერი ცხოვრების განხორციელებას, რომელიც კაცობრიობამ დაიმსახურა თავისი ტანჯვითა და მოთმინებით. **სტაფორდ კრიფსი**“.

განთავისუფლებულ ქერჩში

ქალაქის ქუჩებში, თითქოს კვირა დღე იყოს, ყოველდღე დასეირნობს სადღესასწაულოდ გამოწყობილი ხალხი. ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ ყველა მცხოვრები იმალებოდა, ხოლო უკაცრიელ ქუჩებში გათავხედებული გერმანელი ოკუპანტები დადიოდნენ.

ქერჩის მცხოვრებლებმა, ქალაქგარეთ, ტანკსაწინააღმდეგო თხრილებიდან ყოველდღე ამოჰქონდათ ფაშისტების მიერ დახვრეტილი თავიანთი ნათესავების გვამები. აგებული ძმათა სასაფლაოები, და ჯერ კიდევ არ დამჭკნარან გვირგვინები, რომლებითაც ქალებმა მათი სამარეები შეამკო.

30 დეკემბერს, ფარულად მუშაობას თავი დაანება ბოლშევიკურმა პარტორგანიზაციამ. ამავე დღეს მოეწყო პარტიის ქერჩის ქალაქკომის საორგანიზაციო ბიურო და ქალაქის საბჭოს საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ბოლშევიკი—არალეგალურად მომუშავე ამხ. კოლესნიჩენკო.

ქალაქის ორგანიზაციებმა, პირველ ყოვლისა, ხელი მოჰკიდეს სახელმწიფო ქონების და ნადავლის მოვლა-შენახვის და დაცვის ორგანიზაციას.

ორტელმა „კრასნი ოქტიაბრმა“ მოაწყო ფეხსაცმლის საკერავი და შესაკეთებელი 10 სახელოსნო და ქრომის ტყავის დამუშავების შეუდგა. იხსნება სამიხაილორიმი და სადარეჯოების. ქერჩპურტრესტში ახალი წლის დღეს 8 მაღაზია გახსნა. იქ იყიდება პური, კვების პროდუქტები, გალანტერია და კვიმოსაქონელი. გაიხსნა აფთიაქი, მუშაობა დაიწყო საპნის ქარხანამ.

ფრონტზე მყოფ მებრძოლებს თამბაქოსა და პაპიროსით ვამარაგებთ. ქერჩის თამბაქოს ფაბრიკა ავიადაბომბვამ და ხანძარმა დაანგრია. მუშები მის აღსადგენად მუშაობენ. ფრონტზე მალე მიიღებს ქერჩის პაპიროსებს.

მეთევზე კოლმეურნეობათა კავშირმა თევზის ჭერა დაიწყო. ბაზარში უკვე იყიდება ახალი თევზი.

გერმანელებმა ყველა სკოლა დახურეს. ბავშვებს სწავლის საშუალება წაართვეს. ქალაქის კომკავშირული ორგანიზაციის დახმარებით ქალაქის საბჭოს საორგანიზაციო კომიტეტმა გახსნა 19 სკოლა, 3 საბავშვო ბაღი და საბავშვო სახლი, სადაც ის ბავშვები ცხოვრობენ, რომლებმაც მშობლები დაკარგეს.

გერმანელებმა ქერჩის ბიბლიოთეკები გაანადგურეს. გერმანელ ჯარისკაცებს ცხენებითა და ხაზარგულებით გაჰქონდათ ბიბლიოთეკიდან წიგნები ღუმელების გასახურებლად. ყველაფერი, რაც მოავლოდა წიგნსაცავებიდან გადარჩა, ამჟამად შეგროვებულია 3 ბიბლიოთეკაში, რომლებმაც მუშაობა დაიწყეს.

3 იანვრიდან ქალაქში ყოველდღე გამოდის ქალაქის გაზეთი „კერჩენსკი რაბოჩი“.

ქერჩელები გაზაფხულისათვის ემზადებიან. გამალებით მიმდინარეობს გერმანელთა მიერ დატოვებული 2.000 ტრაქტორისა და ავტომანქანის რემონტი.

როცა ქერჩის ქუჩებში მოხეტიალე ქალაქელებს ეკითხებით: დღეს კვირა ხომ არ არისო?—ისინი ყოველთვის გპასუხობენ:

— ახლა ხომ ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება მოვიდა, ყველანი ქუჩაში გამოვედით, არავინ აღარ გვეშინია, ახლა ყოველდღე დღესასწაულო გვექცეს.

ქალაქი ქერჩი („პრავდის“ სპეც. კორესპონდენტი) („პრავდა“, 19 იანვარი).

„სისხლიანი კვირა“

1905 წლის 22 (9) იანვარს დილით პეტერბურგის ქუჩებით ზამთრის სასახლისაკენ დაიძრა მუშათა 140-ათასიანი დემონსტრაცია. ქალაქის ყოველი კუთხიდან მოეშურებოდნენ მუშები ცოლებით, ბავშვებით, მოხუცებით, მუშები გალობდნენ ლოცვებს, მიდიოდნენ უიარაღოდ. მათ თან მიჰქონდათ ხატები, საეკლესიო ბაირაღები, მეფისა და მისი ოჯახის წევრთა სურათები. მათ განზრახვა ჰქონდათ გადაეცათ მეფისათვის პეტიცია (თხოვნა) თავის საჭიროებათა შესახებ...

XX საუკუნის დამდეგს რუსეთის მუშათა მდგომარეობა მეტისმეტად მძიმე გახდა. იაპონიასთან ომის გამწვავებისა და სიძვირის არნახულად გაზრდის შედეგად იგი კიდევ უფრო გაუარესდა, გაღატაკებული ხალხი ღელავდა. 1905 წლის 3 იანვარს პუტილოვის (ახლა კიროვის სახელობის) ქარხანაში დაითხოვეს ოთხი მუშა. დახმარებისათვის მათ თხოვნით მიმართეს „რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო მუშათა ორგანიზაციას“, რომელიც ჯერ კიდევ 1904 წელს პროვოკაციული მიზნით ჩამოყალიბებული იყო პოლიციის დეპარტამენტის აგენტის ხუცეს გაპონის მიერ. ქარხნის ადმინისტრაციამ არ დაუთმო და ქარხნის მუშებმა უპასუხეს გაფიცვით, რომელმაც მთელი პეტერბურგი მოიცვა. მონაწილეობდა 150 ათასი კაცი.

გაფიცვის დაწყებისას გაპონმა იკისრა დახმარებოდა მეფის ოხრანკას: გამოეწვია მუშების დახვრეტა და სისხლში ჩაეხრჩო მუშათა მოძრაობა. მან წამოაყენა პროვოკატორული გეგმა: 9 იანვარს შეიკრიბოს ყველა მუშა და მშვიდობიანი მსვლელობით წავიდეს ზამთრის სასახლისაკენ მეფისათვის პეტიციის გადასაცემად.

მუშათა ფართო მასები ჯერ კიდევ არ იყვნენ სათანადოდ შეგნებულნი. მრავალი მათგანი ახლადმოწყვეტილი იყო სოფელს. მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკარგული რწმენა მეფისადმი. ისინი არ კარგავდნენ იმედს, რომ მეფე მათ დაეხმარებოდა. ისინი მხოლოდ კაპიტალისტებში ხედავდნენ თავიანთი უბედურების მიზეზს და ამიტომაც ადვილად წამოეგნენ პროვოკატორ გაპონის ანკესზე.

პეტიციას იხილავდნენ მუშათა კრებებზე, შეჰქონდათ მასში შესწორებები და ცვლილებები. ამ კრებებზე გამოსული ბოლშევიკები ამტკიცებდნენ, რომ მეფე მოქმედობს მემამულეებთან, კაპიტალისტებთან და ხუცებთან ერთად, რომ იგი არავითარ დახმარებას არ გაუწევს მუშებს, რომ საჭიროა არა მოწყალების თხოვნა მეფისაგან, არამედ იარაღით ხელში თავისუფლების მოპოვება.

ბოლშევიკები გაფრთხილებას იძლეოდნენ, რომ მეფის ჯარი ტყვიას დაუშენდა მუშებს და მოაწყობდა მშვიდობიან დემონსტრანტთა დახვრეტას. მაგრამ მოძრაობა უდიდესი ძალით მოედო მასებს და შეუძლებელი შეიქნა მათი აღტყინების დაოკება. მათ მაინც გადასწყვიტეს წარედგინათ მეფისათვის პეტიცია.

ბოლშევიკების გავლენით მუშებმა პეტიციაში შეიტანეს მთელი რიგი პოლიტიკური მოთხოვნები: სიტყვისა და პრესის თავისუფლება, მუშათა კავშირების თავისუფლება, რუსეთის სახელმწიფო წყობილების შესაცვლელად დამფუძნებელი კრების მოწვევა, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა, სახელმწიფოსაგან ეკლესიის ჩამოშორება, ომის შეწყვეტა, 8-საათიანი სამუშაო დღის დაწესება, გლეხებისათვის მიწის თანდათანობით გადაცემა.

მთავრობის გეგმა იყო შეეშვა დემონსტრანტი-მუშები ქალაქის ცენტრში, ... ისინი და ამით დიდი ხნით აღეკვეთა მათთვის პოლიტიკური გამოსვლების სურვილი. ქალაქის სხვადასხვა ადგილას დემონსტრანტთა კოლონებს ჩასაფრებული შეხვდნენ წინასწარ მომზადებული ჯარები. მათ მოჰკლეს ათასზე მეტი მუშა, დასჭრეს ორიათასზე მეტი. უდანაშაულო მუშათა სისხლით მოირწყო პეტერბურგის ფართო ქუჩები, ვრცელი მოედნები... თავით ფეხამდე შეიარაღებულმა ჯარებმა გაიმარჯვეს უიარაღო მუშებზე, მათ გაჟლიტეს უმწეო ქალები, ბავშვები და მოხუცები.

ამ ამბავმა შემაძრწუნებელი გავლენა მოახდინა მუშებზე. მშვიდობიანი დემონსტრაციის დახვრეტამ, უდანაშაულო ადამიანთა გაჟლეტამ მათში ჩაჰკლა მეფისადმი რწმენა. მათ დაჰკარგეს იმის იმედი, რომ მშვიდობიანი გზით გააუმჯობესებდნენ თავიანთი ლუკმაპურის მდგომარეობას. ალმფოთებულმა მუშებმა მთავრობის სასტიკ რეპრესიებს უპასუხეს ყველა უბანში ბარიკადების აგებით. ხალხთა მასებმა გაიგეს, რომ ბოლშევიკები მართალნი იყვნენ, როცა მოუწოდებდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყებისაკენ. 1905 წლის 9 იანვარს მუშათა კლასმა მიიღო სამოქალაქო ომის დიადი გაკვეთილი. ამ დღემ დაარწმუნა მუშები, რომ მხოლოდ ბრძოლით შეიძლება უფლებების მოპოვება. რამდენიმე დღის განმავლობაში რუსეთის მუშათა მოძრაობა ახალ საფეხურზე ამაღლდა. მეფის ბოროტმოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად დაირაზმა მთელი რუსეთის მუშათა კლასი.

9 იანვრის დღეს ეწოდა „სისხლიანი კვირა“. ეს დღე გახდა ცარიზმთან ბრძოლაში რუსეთის მუშათა მობილიზაციის დღედ. მას აღნიშნავდნენ გაფიცვებითა და ცარიზმის საწინააღმდეგო დემონსტრაცია-მიტინგებით. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ სსრ კავშირის მშრომელები 9 იანვარს აღნიშნავენ, როგორც უაღრესად მნიშვნელოვან რევოლუციურ მოვლენას, როგორც 1905 წლის რევოლუციის დასაწყისს.

დღეს, როდესაც გერმანელთა ურდოები ავაზაკურად თავს დაესხნენ ჩვენს დიად სამშობლოს და ცდილობენ წაგვართვან მრავალი წლის მედგარი ბრძოლებით მოპოვებული თავისუფლება, 1905 და 1917 წლების გმირულ ტრადიციებზე აღზრდილი საბჭოთა ხალხი, მისი სახელოვანი წითელი არმია უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ ფაშიზმის გასანადგურებლად მთელ მსოფლიოში, რადგან „არსებითად ჰიტლერული რეჟიმი პირწავარდნილი ის რეაქციული რეჟიმია, რომელიც ცარიზმის დროს არსებობდა რუსეთში. ცნობილია, რომ ჰიტლერელები ისეთივე ხალისით სთელავენ მუშების უფლებებს, ინტელიგენციის უფლებებს და ხალხთა უფლებებს, როგორც ამ უფლებებს მეფის რეჟიმი სთელავდა, რომ ისინი ისეთივე ხალისით აწყობენ ებრაელთა შუასაუკუნეობრივ რბევააწიოკებას, როგორც ამას მეფის რეჟიმი აწყობდა“ (სტალინი).

მუხანათი დამპყრობლები ვერ შესძლებენ სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის სიმაგრეთა შემუსვრას. ლენინის ძლევამოსილი დროშით, ბრძენი სტალინის წინამძღოლობით მუშათა კლასი მძლავრ მახვილს ჩასცემს მსოფლიო ფაშიზმს და საბოლოოდ გაანადგურებს მას, ისე როგორც გაანადგურა და დაამხო ცარიზმი, ინტერვენტთა ურდოები, შინაური და გარეშე კონტრრევოლუცია.

1905 წ. 9 იანვარი ვასილიევის კუნძულზე. მხატვ. მაკოვსკის ნახატი.

ბრძოლა დაბა ნ-სათვის

კარელიის ფრონტი, 20 იანვარი (საკდესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ღამის 3 საათზე ინტენსიური საარტილერიო ბომბარდება დაიწყო. ამხ. ბუნინსკის ბატარეამ პირველი რამდენიმე გასროლითვე მწყობრიდან გამოიყვანა მოწინააღმდეგის ორი ქვემეხი. ორმა სხვა ბატარეამ მტრის კიდევ რამდენიმე სატყვიამფრქვევო და ნაღმსატყორცნი ბუდე მოსპო და დიდძალი ქვეითი ჯარი გაჟლიტა მას. განთიადისას ჩვენი მებრძოლები იერიშზე გადავიდნენ. დათრთვილული ფიჭვების მწვერვალებზე გუგუნი გაჰქონდა საბჭოთა ბომბდამშენების მოტორებს. რკინიგზის ლიანდაგზე ტანკების კოლონა მიდიოდა. მან შეუმჩნევლად გადალახა მდინარე, მტრის ზღუდესთან მივიდა და ფეხდაფეხ შეჰყვა ქვეითი ჯარის მოწინავე ქვეგანაყოფებს დაბა ნ-ში.

დაიწყო ქუჩაში ბრძოლა. ფინელ მეავტომატეებს თითოეული სახლიდან, ეზოდან, მიწური საცეცხლე წერტილიდან ერეკებოდნენ. უმცროს ლეიტენანტ მელნიკოვის ტანკმა ქვემეხისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით ზედიზედ დაანგრია 4 მიწური საცეცხლე წერტი და ათობით თეთრფინელი გაჟლიტა. ლეიტენანტ ჩუბოვის ეკიპაჟმა ფინელთა ბატალიონის შტაბი ჩაიგდო ხელში.

მტერი იერიშს არ მოელოდა და, პანიკით შეპყრობილმა, მოჰკურცხლა. მრავალმა ფინელმა დალია სული ტანკების ფოლადის მუხლუხებში. წითელარმიელები ხიშტითა და გრანატით ელეტებოდნენ ფაშისტებს. ლეიტენანტმა ლაპტევმა წითელი დროშა აღმართა ერთი სახლის სახურავზე. ამან ახალი შეტევითი აღფრთოვანება გამოიწვია მებრძოლებსა და მეთაურებში.

ჩვეულებრივად, თეთრფინელთა სარდლობა ცდილობს დაჰფაროს თავისი ზარალი და მოკლულ ჯარისკაცთა და ოფიცერთა გვამებს მალავს. ამჯერად მოწინააღმდეგეს ამისთვის არ ეცალა. ქუჩებში მოკლული ფაშისტები ჰყრია. ფინელი ოფიცრების მიერ გადამწვარ ორ სახლში წითელარმიელებმა ფინელ ჯარისკაცთა გვამების ხორები აღმოაჩინეს—მათი გატანა ვერ მოუსწრიათ.

მტერმა უკან დაიხია მეორე ზღუდეზე და თავს უყრიდა ძალებს კონტრშეტევისათვის. მან ისარგებლა იმით, რომ ერთ-ერთმა ჩვენმა ქვეგანაყოფმა ვერ მოასწრო დროულად მისულიყო ბრძოლის ალაგას, და კონტრიერიშზე გადმოვიდა, სოლივით შემოიჭრა ჩვენს თავდაცვაში და საკომანდო პუნქტს მოსწყვიტა დაბის გარეუბანში გაჭრილი ტანკები და ქვეითი ჯარი.

რამდენიმე დღეს გაგრძელდა სისხლისმღვრელი ბრძოლა ქუჩაში. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მტრის 7 იერიში მოიგერიეს და ბრძოლით ართმევდნენ მოწინააღმდეგეს თითოეულ მტკაველ ტერიტორიას. ქვემეხის მეთაურმა მოროზმა, არტილერისტთა ჯგუფთან ერთად, ორი ტყვიამფრქვევი წაართვა მოწინააღმდეგეს, შეაკეთა ისინი ბრძოლის ველზე, სტყვასავით აყრიდა ტყვიას და ელეტდა ფაშისტ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს. გმირულად ებრძოდა ფინელ დამპყრობლებს კომკავშირელი პეხშოევის მებრძოლთა ჯგუფი. გაბედულმა მებრძოლებმა რიცხობრივად ჭარბი მტრის 3 იერიში მოიგერიეს. თეთრფინელებმა გადასწყვიტეს გარშემორტყმოდნენ მათ და ტყვედ წაეყვანათ. სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა. ვაზნები ელეოდათ. პეხშოევმა ბრძანება გასცა მოკლულ ფინელ ჯარისკაცებს აართვით ვაზნები და რკალი გაარღვიეთო. ათეულმა მტრის რკალი გაარღვია და თავისიანებთან დაბრუნდა ისე, რომ ერთი კაციც არ დაჰკლებია.

სიმამაცე და ინიციატივა გამოიჩინა ოცეულის მეთაურმა რუდნიმ. წითელარმიელთა მცირე რაზმით იგი მტრის „გუგულებს“ უთვალთვალებდა და ელეტდა. რუდნიმ ოთხი მეავტომატე მოსპო მარჯვე სროლით.

ჩვენმა ნაწილებმა გააფთრებული ბრძოლების შედეგად სავსებით დაიკავეს დაბა ნ. თეთრფინელებმა 500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგეს მოკლულთა და დაჭრილთა სახით. ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა: 1 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი, 2 საწყობი ჯუმბარებიანად და 1 საწყობი სურსათითურთ, 13 დაზგიანი და 7 ხელის ტყვიამფრქვევი, 9 ავტომატი და რევოლვერი, 40 შაშხანა, 45 ათასი ვაზნა, ერთი რადიოსადგური, დიდძალი ხელის გრანატი და სხვა სამხედრო ქონება.

ვ. ლეზინი

იასნაია პოლიანის მუზეუმ-კარ-მიდამო აღდგენილ იქნება

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე მოსმენილ იქნა ცნობა წევრ-კორესპონდენტ ი. ი. მინცის თავმჯდომარეობით არსებული კომისიის მუშაობის შესახებ; ამ კომისიამ დაათვალიერა იასნაია პოლიანა, რათა გამოერკვია იმ ნგრევის ხასიათი და ოდენობა, რაც გერმანელმა ფაშისტმა ოკუპანტებმა ლ. ნ. ტოლსტოის მუზეუმ-კარ-მიდამოში მოახდინეს.

პრეზიდიუმმა სახსრები გადასდო, რათა უაღრესად სწრაფად იქნას აღდგენილი იასნაია პოლიანა. მუზეუმის რესტავრაცია დაუყოვნებლივ დაიწყება, რათა მაისიდან განახლებულ იქნას ექსკურსიები მიღება. მთელი ექსპონატები, რაც ფაშისტ-ბარბაროსებს გადაურჩათ წინანდელ ადგილზე დაიდგმება. გადაწყდა შეიქმნას ახალი განყოფილება „ფაშისტები იასნაია პოლიანაში“.

აკადემიის პრეზიდიუმმა თხოვნით მიმართა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატსა და განათლების სახალხო კომისარიატს მიიღონ ღონისძიებანი იასნაია პოლიანის გადამწვარი საავადმყოფოს და სკოლის აღსადგენად. მუზეუმ-კარ-მიდამოს გამგეს შჩეგოლევს, მეცნიერ თანამშრომელს შჩეგოლევას, ვახტერ მარკინასა და დარაჯებს, რომლებიც თავგანწირულად და მამაცურად იცავდნენ მუზეუმს ჰიტლერელთა ოკუპაციის დროს, მადლობა გამოეცხადათ. მათ, აგრეთვე იმ კოლმეურნეთა და სხვა პირთა დასაჯილდოებლად, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ფაშისტი ოფიცრების მიერ იასნაია პოლიანიდან გაქცევისას გაჩენილი ხანძრის ჩაქრობაში, გადადებულია 20 ათასი მანეთი.

ვ. ი. ლენინი და კ. ე. ვოროშილოვი პარტიის X ყრილობის დელეგატებთან—1921 წ. კრონშტადტის აჯანყების ჩაქრობის მონაწილეებთან. მხატვ. პ. ვასილიევის ნახატი.

ვ. ი. ლენინი სამამულო ომისა და სამშობლოს დაცვის შესახებ

ვ. ი. ლენინის მითითებანი სამამულო ომისა და სამშობლოს დაცვის შესახებ გამარჯვების ღრმა რწმენით აიარაღებს მშრომელთა მილიონებს.

ვ. ი. ლენინი განასხვავებდა ომების ორ ტიპს: სამართლიან და უსამართლო ომებს. იგი სწერდა, რომ „...ომიც არის და ომიც, არის ომები სამართლიანი და უსამართლო, პროგრესიული და რეაქციული, მოწინავე კლასთა ომები და ჩამორჩენილ კლასთა ომები, ომები, რომლებიც კლასობრივი ჩაგვრის განმტკიცებას ემსახურებიან, და ომები, რომლებიც მის დამხობას ემსახურებიან" (თხზ., ტ. XXIV, გვ. 282).

ლენინი როდი იყო ყოველგვარი ომის წინააღმდეგი. „თუ ომის დროს ლაპარაკია დემოკრატიის დაცვაზე ან ერის მჩაგვრელი უღლის წინააღმდეგ ბრძოლაზე, მე სრულებითაც არა ვარ ასეთი ომის წინააღმდეგი...". (თხზ., ტ. XXX, გვ. 284). მაგრამ ლენინი სასტიკი მოწინააღმდეგე იყო უსამართლო ომებისა, რომლებიც სწარმოებდა დაპყრობის მიზნით. ასეთ ომებზე ლენინი სწერდა: „არის ომი—ავანტიურა, რომელიც დინასტიის ინტერესებს, მძარცველთა ბანდის მადას, კაპიტალისტური გამორჩენის გმირთა მიზნებს აკმაყოფილებს" (თხზ., ტ. XXX, გვ. 149). დღეს ჰიტლერელ მძარცველთა ბანდის უსამართლო ომს ჩვენმა ხალხმა დაუპირისპირა დიდი სამამულო ომი, და სწორედ მაშინ, როდესაც საბჭოთა ხალხი გმირულად იცავს თავის მიწა-წყალს გერმანელ დამპყრობთაგან, მეტად ძვირფასია ვ. ი. ლენინის ეს მითითებანი.

ვ. ი. ლენინი ყოველთვის მიგვითითებდა—თუ ომი არ გინდა, ომისათვის მზად იყავიო. გვასწავლიდა იმასაც, თუ როგორ გაგვეძლიერებინა ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობა. ის სწერდა: „გაძლიერებული სამხედრო მზადება სერიოზული ომის საწარმოებლად მოითხოვს არა კვეთებას, არა ხმაურს, არა საბრძოლო ლოზუნგს, არამედ ხანგრძლივ, დაძაბულ, უაღრესად შეუპოვარ და დისციპლინირებულ მუშაობას მასობრივი მასშტაბით" (თხზ., ტ. XXX, გვ. 385). ვ. ი. ლენინი ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის გაძლიერების ერთ-ერთ საშუალებად მოქალაქეთა საყოველთაო სამხედრო სწავლებას სთვლიდა. საბჭოების სრულიად-რუსეთის საგანგებო მეოთხე ყრილობაზე ბრესტის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ დაწერილ რეზოლუციაში იგი ამბობდა:

„...ყრილობა ყველა მშრომელი მასების აუცილებელ მოვალეობად აღიარებს — დაძაბონ მთელი ძალღონე ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის აღსადგენად და ასამაღლებლად, მისი სამხედრო ძლიერების აღსადგენად.. ორივე სქესის ყველა მოზარდთა და სრულწლოვან მოქალაქეთათვის სამხედრო ცოდნისა და სამხედრო საქმის საყოველთაო სწავლების საფუძველზე" (თხზ., ტ. XXII, გვ. 481). ვ. ი. ლენინი, როგორც წითელი არმიის შემქმნელი, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მის განმტკიცებას, მასში მაღალი ბრძოლისუნარიანობის დანერგვას. ლენინის ინიციატივით შემოღებულ იქნა სამხედრო კომისართა ინსტიტუტი წითელ არმიაში.

სამხედრო კომისრები აღაფრთოვანებდნენ მებრძოლთ, ხოლო „აღფრთოვანება გმირობას წარმოშობდა" სამშობლოსათვის ბრძოლაში. ამიტომ სწერდა ლენინი: „სამხედრო კომისარი რომ არა, ჩვენ არ გვეყოლებოდა წითელი არმიაო". დღესაც სამხედრო კომისრები ადუღაბებენ გმირ წითელ არმიას გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვ. ი. ლენინმა, როგორც პროლეტარიატის დიდმა სამხედრო სტრატეგმა, კარგად იცოდა, რომ მხოლოდ აღფრთოვანება და „...ენტუზიაზმი არ კმარა ომის საწარმოებლად ისეთ მოწინააღმდეგესთან, როგორიც გერმანიის იმპერიალიზმია. უდიდესი გულუბრყვილობა, დანაშაულიც კი იქნებოდა მოუფიქრებელი დამოკიდებულება ახლანდელი, **ნამდვილი, შეუპოვარი, სისხლიანი** ომისადმი... რაკი ჩვენ გერმანელი იმპერიალისტები ომს გვახვევენ თავზე, ჩვენი წმინდა მოვალეობაა ფხიზლად შევაფასოთ ჩვენი მდგომარეობა, აღვრიცხოთ ძალები, შევამოწმოთ სამეურნეო მექანიზმი. ყველაფერი ეს უნდა ხდებოდეს სამხედრო დროის სისწრაფით, ვინაიდან ყოველი დაყოვნება ჩვენს ახლანდელს მდგომარეობაში ჭეშმარიტად „სიკვდილის მსგავსია". ჰანიბალი ალაყაფის კარებთან დგას,—ეს არ უნდა გვავიწყდებოდეს არცერთს წუთს.

ომის **ნამდვილად** საწარმოებლად აუცილებელია მაგრად ორგანიზებული ზურგი. საუკეთესო არმიას, რევოლუციის საქმის ურთგულეს ადამიანებს დაუყოვნებლივ გაანადგურებს მტერი, თუ ისინი საკმარისად შეიარაღებულნი, სურსათით მომარაგებულნი, გაწვრთნილნი არ იქნებიან" (თხზ., ტ. XXII, გვ. 347).

ვ. ი. ლენინის ამ მითითებას დღესაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში საბჭოთა ხალხები, ხელმძღვანელობენ რა ვ. ი. ლენინის ბრძნული მითითებებით, დიდი სტალინის წინამძღოლობით გმირულად იბრძვიან მუხანათი მტრების — ჰიტლერელი ურდოების სრული განადგურებისათვის. მათ შექმნეს მტკიცე და ურყევი ზურგი, წითელ არმიას აწოდებენ ყველაფერს, რაც საჭიროა გერმანელი ოკუპანტების გაჟლეტისათვის.

ლენინი დაუშვებლად სთვლიდა სამამულო ომის პირობებში მშვიდობიანი დროის განწყობილებებით ცხოვრებას. „...რაკი ომზე მიდგება საქმე, ყველაფერი ომის ინტერესებს უნდა დაემორჩილოს,—გვასწავლიდა იგი, — ჩვენი ქვეყნის მთელი შინაური ცხოვრება უნდა დაემორჩილოს ომს, ამ მხრივ ოდნავი ყოყმანიც კი დაუშვებელია..." (თხზ., ტ. XXV, გვ. 261).

ომის ვითარებასთან დაკავშირებით ლენინი სასტიკად ჰგმობდა საქმის ყოველგვარ გაჭიანურებას, ბიუროკრატიზმს და კატეგორიულად მოითხოვდა უნარიან, ინიციატივიან მოქმედებას როგორც სამამულო ომის ფრონტზე, ისე სამოქალაქო მართვა-გამგეობის სისტემაშიც. „ინიციატივიანი, შეგნებული ჯარისკაცის გარეშე შეუძლებელია წარმატება თანამედროვე ომში",—სწერდა იგი.

საბჭოთა კავშირის გმირ ხალხებს კარგად ახსოვთ ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ „ომში იმარჯვებს ის, ვისაც აქვს მეტი რეზერვები, ძალის მეტი წყაროები, მეტი სიმტკიცე ხალხის წიაღში". თავის გამარჯვებაში მტკიცედ დარწმუნებული საბჭოთა ხალხი და მისი გმირი წითელი არმია მთელ თავის ძალებსა და რეზერვებს გამოიყენებენ და გამანადგურებელ ლახვარს ჩასცემენ ველურ ჰიტლერელ მრბეველთა არმიას.

ი. კაჭარავა.

მოსკოვი ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XVIII წლისთავს აღნიშნავს

დღეს მოსკოვის ლენინის, სტალინის, კრასნოგვარდეისკის, სოვეტსკისა და სხვა რაიონებში ტარდება ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო კრებები. რაიონის აქტივი — საწარმოთა სტახანოველები, ინტელიგენცია, სამეურნეო მუშაკები, სამხედრო ნაწილების წარმომადგენლები ისმენენ მოხსენებებს თემაზე: „18 წელი ულენინოდ ლენინის გზით", „ლენინი სოციალისტური სამშობლოს დაცვის შესახებ", „ლენინი და სტალინი — საბჭოთა ხალხის გამარჯვების ორგანიზატორები".

სტალინის სახელობის ქარხნის ყველა საამქროში ტარდება საუბრები ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ქარხნის აგიტპუნქტში გახსნილია ლენინის მასალების გამოფენა.

მოსკოვის მოსწავლეები ლენინის დღეებს პიონერული კოცონებით აღნიშნავენ. პიონერთა საქალაქო სახლში წითელი არმიის მეთაურები კოცონებთან ჩაატარებენ საუბრებს უცხოელთა ინტერვენციის განადგურებაში ლენინისა და სტალინის როლის შესახებ, გააცნობენ ბავშვებს იმ მებრძოლთა საგმირო საქმეებს, რომლებიც ჰიტლერელი ურდოებისაგან იცავენ ლენინისა და სტალინის მიერ შექმნილ საბჭოთა წყობილებას. ლენინისადმი მიძღვნილ ნაწარმოებთ ბავშვებს წაუკითხავენ მხატვრული სიტყვის ოსტატები. პიონერთა სახლის კინო-თეატრში უჩვენებენ ფილმებს: „ლენინი ოქტომბერში", „ლენინი 18 წელს", „დიადი განთიადი".

ლენინის დღეებისათვის რევოლუციის მუზეუმმა წითელი არმიის ნაწილებში გაჰგზავნა მოძრავი ფოტოგამოფენები. თითოეულ გამოფენას თან ახლავს მუზეუმის მეცნიერი მუშაკი, რომელიც მებრძოლებთან ატარებს საუბრებს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. გამოფენის ძირითადი განყოფილებაა „სტალინის ფიცი და მისი შესრულება".

ლენინის დღეებისათვის დიდი გამოფენა გაიხსნა ლენინის სახელობის ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში. გამოფენა შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: „ლენინი და სტალინი სამშობლოს დაცვის შესახებ", „გერმანელთა განადგურება 1918 წელს", „წითელი არმია ურტყამს ფაშისტ დამპყრობლებს" და „ზურგი-ფრონტს". მრავალრიცხოვანი დოკუმენტები ასახავენ ჰიტლერის ჯარების განადგურებას როსტოვთან, ტიხვინთან, ელეცთან, დასავლეთის ფრონტზე.

გუშინ გამოფენა დაათვალიერა წითელი არმიის პოლიტმუშაკთა დიდმა ჯგუფმა. (საკდესი).

დიდ ლენინს

ახლაც—თითქო ჩვენთან იყო,
წინ გვიძღოდე ბრძენი,
რომ მტარვალი გაირიყოს
ბოროტების მჩენი,
მამულისთვის ფრონტზე გვიხმობს
დიდი საქმე შენი!

მტერი შედრკა. ველარ გვიძლებს,
გულს მოედო ალი,
მალე ყველას გააღვიძებს
მძლავრი ქარიშხალი
და მტარვალებს დაამიწებს
მოელვარე ხმალი.

ჩვენ- წინ გვიძღვის ალამდარი
მამაცი და ქველი,
თვით სტალინი — მძლე სარდალი,
დიდი ლენინელი,
ბრძენი, შენი შესადარი,
დაჩაგრულთა მხსნელი.

დიდ ოქტომბრის დროშა მძლავრი
ვერ მოჰხაროს მტერმა,
ბრძოლის შემდეგ ყოფა წყნარი
ნახოს ჩვენმა ერმა.
მოსპოს ღამე შესაზარი
განთიადის ფერმა!

კალე ბოზოხიძე

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი

ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი 1938 წლის ივლისიდან განუწყვეტლივ ეწევა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის პროპაგანდას. ვ. ი. ლენინის მუზეუმს აქვს თავისი განყოფილებანი: თბილისში ავლაბრის რესტავრირებული არალეგალური სტამბა, გორში ი. ბ. სტალინის სახლი-მუზეუმი, ქუთაისში ს. წულუკიძის სახლი-მუზეუმი და სხვ.

თავისი არსებობის დღიდან ვ. ი. ლენინის მუზეუმმა და მისმა განყოფილებებმა მომსახურება გაუწიეს 1.109.869 კაცს. მარტო გასულ წელს ჯგუფური კონსულტაცია ჩაუტარეს 2.417 ჯგუფს, აქედან გაელითი კონსულტაციის ხასიათი ჰქონდა 919-ს, თემატური— 1285-ს, რევოლუციის პერიოდების შემსწავლელთა—135-ს. სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილები დაათვალიერა 78 ჯგუფმა.

მიმდინარე 1942 წლის იანვარში ლენინის დღეებთან დაკავშირებით, კიდევ უფრო გაძლიერდა მუზეუმში და მის განყოფილებებში მშრომელთა სწრაფვა. ა. წ. 1 იანვრიდან დღემდე მუზეუმმა მომსახურება გაუწია 1.950 კაცს. მარტო 18 იანვარს მუზეუმში კონსულტაცია მიიღო 700 მშრომელმა ჯგუფური და ინდივიდუალური სახით.

ვ. ი. ლენინის მუზეუმის კონსულტანტები და მეცნიერ მუშაკები მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდას ეწევიან მუზეუმის გარეთაც; საწარმო-დაწესებულებებსა და აგიტპუნქტებში გასულ წელს მათ ჩაატარეს 238 ლექცია და მოხსენება. მიმდინარე წლის იანვარში დღემდე მათ მიერ წაკითხულ იქნა 25 ლექცია და მოხსენება, აქედან 18 მოხსენება შეეხებოდა ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდის მძლავრი კერა [illegible]

შევდივართ ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალში, ვათვალიერებთ იქ გამოფენილ ისტორიულ დოკუმენტებს დიდი ლენინისა და სტალინის მოღვაწეობიდან, და ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, თუ რა განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის უახლესი ისტორია ლენინისა და სტალინის სახელთან.

მუზეუმში შესვლისთანავე ყურადღებას იპყრობს ლენინის რევოლუციური მუშაობის დასაწყისი, მის მიერ პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" დაარსება, რომელიც ახალი ტიპის პარტიის ჩანასახს წარმოადგენდა, ლენინის რევოლუციური მუშაობა გადასახლებაში, ბრძოლა ეკონომისტების წინააღმდეგ, ბრძოლა „ისკრის" ორგანიზაციისათვის, „ისკრის" გამოსვლა, მისი აგიტატორული, პროპაგანდისტული და ორგანიზატორული როლი რუსეთის მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში.

ისტორიული, ლოგიკური თანმიმდევრობით იშლება ჩვენს წინაშე ლენინისა და სტალინის დაუღალავი მუშაობა ახალი ტიპის პარტიის შესაქმნელად. 1902 წელს ლენინმა წიგნში „რა ვაკეთოთ?". შექმნა ახალი ტიპის პარტიის იდეოლოგიური საფუძვლები სტალინმა მისი იდეები დაიცვა და განავითარა წიგნში „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე", რომელმაც მაშინ „სენსაცია მოახდინა".

რსდმპ II ყრილობის შემდეგ, ებრძოდა რა მენშევიკებს, ლენინმა დასწერა წიგნი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან", სადაც მენშევიზმის ორგანიზაციული ოპორტუნიზმიდან ქვაქვაზე არ დასტოვა და შექმნა ახალი ტიპის პარტიის მარქსისტულ-ორგანიზაციული საფუძვლები. ამიერ-კავკასიაში კი ამხანაგი სტალინი იცავდა და ავითარებდა ახალი ტიპის პარტიის ორგანიზაციულ საფუძვლებს თავის სტატიაში „პროლეტართა კლასი და პროლეტართა პარტია".

მუზეუმში უხვად არის წარმოდგენილი ისტორიული დოკუმენტები ლენინისა და სტალინის ბრძოლის შესახებ რსდმპ III ყრილობის მოსაწვევად.

რსდმპ III ყრილობის შემდეგ ახალი ძალით გაჩაღდა ბრძოლა ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მიმდინარე რევოლუციაში პარტიის ტაქტიკის საკითხებზე. მენშევიკების ტაქტიკა რევოლუციის გამცემლობის ტაქტიკა იყო. ერთადერთი სწორი, მარქსისტული ტაქტიკა რევოლუციაში შეიმუშავა რსდმპ III ყრილობამ და ამხანაგმა ვ. ი. ლენინმა თავის წიგნში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში".

სტოლიპინის სისხლიანი რეაქციის წლებში პარტიული ორგანიზაციების შენარჩუნებისათვის, მასებთან კავშირის განმტკიცებისათვის და მომავალი რევოლუციისათვის მშრომელთა დარაზმვისათვის, ლენინისა და სტალინის ბრძოლის შესახებ მუზეუმში ძვირფასი დოკუმენტები გაქვნია.

ამავე პერიოდს ეკუთვნის ლენინის ეპოქალური ნაშრომი „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", რომელმაც ბრწყინვალედ მოიგერია კონტრრევოლუციისა და რეაქციის შემოტევა იდეოლოგიის ფრონტზე. შექმნა ახალი ტიპის პარტიის თეორიული საფუძვლები.

იმპერიალისტური ომის პერიოდში შოვინისტების წინააღმდეგ, საკუთარი ქვეყნის მთავრობათა წინააღმდეგ ლენინისა და სტალინის ბრძოლის შესახებ უხვი ისტორიული დოკუმენტები მეტყველებენ მუზეუმის კედლებიდან.

1917 წლის ოქტომბერში გაიმარჯვა სოციალისტურმა რევოლუციამ. მუზეუმის კედლებიდან ურყევად ღაღადებენ ისტორიული დოკუმენტები ტროცკისტ-ზინოვიეველ-კამენეველ ბანდიტთა შეთქმულებაზე რევოლუციის პირველ დღეებში ლენინისა და სტალინის წინააღმდეგ, სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ, რასაც შედეგად მოჰყვა თავდასხმა ლენინზე.

ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში დიდი ლენინი ხელმძღვანელობდა თავდაცვის ყველა საკითხებს. მისი საიმედო თანამებრძოლი იყო დიდი სტრატეგი ამხანაგი სტალინი. დიდი ლენინისა და სტალინის დაუღალავი მუშაობით შეიქმნა საბჭოთა ხალხის არმია—წითელი არმია, რომელმაც საბრძოლო ნათლობა გერმანელ იმპერიალისტთა ჯარებთან ომში მიიღო, უკუაგდო მათი შემოტევა, დაიცვა რევოლუციის აკვანი — პეტროგრადი. მუზეუმში გამოფენილი ამ პერიოდის ამსახველი ისტორიული დოკუმენტები დღესაც პატრიოტულად აღაგზნებს მშრომელთ გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. ლენინის მითითებებით მთელი საბჭოთა ქვეყანა სამხედრო ბანაკად იქცა. მუშათა კლასმა ლოზუნგით — „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის" — უკუაგდო და გაამარცხა ინტერვენტები და შინაგანი კონტრრევოლუცია. საბჭოთა ხალხი შეუდგა მშვიდობიან მშენებლობას. მაგრამ მისი გონება აღაშფოთა ლენინის ავადმყოფობის ცნობამ. ბანდიტი ტროცკისტ-ზინოვიეველ-ბუხარინელები ზეიმობდნენ, ემზადებოდნენ პარტიაზე თავდასხმისათვის. მაგრამ ისინი ანგარიშში მოსტყუვდნენ. პარტიას მიუძღოდა და რაზმავდა მოღალატეთა წინააღმდეგ დიდი სტალინი.

ლენინის მუზეუმის დოკუმენტები მეტყველებენ იმ მწუხარებაზე, რომელიც საბჭოთა ხალხს თავს დაატყდა 1924 წლის 21 იანვარს. მაგრამ საბჭოთა ხალხი არ დაბნეულა, ის დიდი სტალინის ხელმძღვანელობით აშენებდა სოციალიზმს, დიდი სტალინის სარდლობითვე ანადგურებს ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილ ჰიტლერელ ბანდიტებს.

ი. მიხეილიძე

> „მარტო ენტუზიაზმი არ კმარა ომის საწარმოებლად ისეთ მოწინააღმდეგესთან, როგორიც გერმანიის იმპერიალიზმია. უდიდესი გულუბრყვილობა, დანაშაულიც კი იქნებოდა მოუფიქრებელი დამოკიდებულება ახლანდელი, **ნამდვილი, შეუპოვარი, სისხლიანი** ომისადმი... რაკი ჩვენ გერმანელი იმპერიალისტები ომს გვახვევენ თავზე ჩვენი წმინდა მოვალეობაა ფხიზლად შევაფასოთ ჩვენი მდგომარეობა, აღვრიცხოთ ძალები, შევამოწმოთ სამეურნეო მექანიზმი. ყველაფერი ეს უნდა ხდებოდეს სამხედრო დროის სისწრაფით, ვინაიდან ყოველი დაყოვნება ჩვენს ახლანდელს მდგომარეობაში ჭეშმარიტად „სიკვდილის მსგავსია". ჰანიბალი ალაყაფის კარებთან დგას,—ეს არ უნდა გვავიწყდებოდეს არცერთს წუთს.
> **ომის ნამდვილად** საწარმოებლად აუცილებელია მაგრად ორგანიზებული ზურგი. საუკეთესო არმიას, რევოლუციის საქმის ურთგულეს, ადამიანებს დაუყოვნებლივ გაანადგურებს მტერი, თუ ისინი საკმარისად შეიარაღებულნი, სურსათით მომარაგებულნი, გაწვრთნილნი არ იქნებიან".
>
> ვ. ლენინი

სსრ კავშირის გაზეთები ვ. ი. ლენინის გარდაცვალების შესახებ.

სამშობლოს დაცვის დიადი იდეა

ჩვენი ქვეყნის ხალხებმა ათეული წლების შეუპოვარი და დაძაბული ბრძოლით მოიპოვეს თავიანთი სამშობლო, რათა ახალი საზოგადოება აეგოთ. სისხლსა და ტანჯვაში იბადებოდა ეს ახალი საზოგადოება, ვინაიდან ძველ სამყაროს არა სურდა ადგილი დაეთმო და წასულიყო. ხალხისათვის ძალაუფლების დათმობა არა სურდათ იმათ, ვინც საუკუნეობით აფერხებდნენ მის ზრდას, მის განვითარებას, ვინც იყო მიზეზი მისი აურაცხელი ტანჯვისა და წამებისა. სისხლით, ცეცხლითა და მახვილით სურდათ მათ დაებრუნებინათ დაკარგული ბატონობა, მათთვის წართმეული პრივილეგიები. მაგრამ სამშობლოს დაცვის დიადმა იდეამ, რომელიც ყოველთვის განსაკუთრებით მკაფიოდ მჟღავნდებოდა ხალხში, როდესაც ქვეყანას მძიმე განსაცდელის ჟამი დაუდგებოდა, ახლა თავისი ახალი გამოხატულება ჰპოვა, მას ახალი შინაარსი მიეცა, ვინაიდან ეს იყო საბჭოთა სამშობლოს დაცვის ღრმა იდეა, რომელიც მთლიანად იტაცებს ადამიანს.

„იმ რუსეთს, რომელიც განთავისუფლდა, რომელმაც ორი წლის ტანჯვით მოიპოვა თავისი საბჭოთა რევოლუცია, ამ რუსეთს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავთ!" ასე ამბობდა ლენინი მშრომელ კაზაკთა I საკავშირო ყრილობაზე 1920 წლის 1 მარტს, როდესაც ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო ინტერვენციასთან და თეთრგვარდიულ კონტრრევოლუციასთან ბრძოლა.

მილიონობით საბჭოთა ადამიანები, რომელთაც სამშობლოს დაცვის დიადი იდეა ამოძრავებდა, გმირულად იბრძოდნენ იმ წლების მანძილზე წითელი გვარდიისა და წითელი არმიის ნაწილებში ტექნიკურად უკეთ შეიარაღებული მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ. საბჭოთა მებრძოლებმა იცოდნენ, რომ ისინი თავიანთ სამშობლოს იცავდნენ, რომელიც ასეთი დიდი მსხვერპლით იყო მოპოვებული; მათ იცოდნენ, რომ იცავდნენ ოფლით, სისხლითა და ცრემლით უხვად მორწყულ თავიანთ სამშობლოს, თავიანთ მიწა-წყალს, სადაც შრომობდნენ მათი მამა-პაპანი, იმ მიწა-წყალს, სადაც ცხოვრობენ და უფრო სასიხარულო, უფრო ბედნიერი ცხოვრებით იცხოვრებენ მათი შვილები. ამ ახალი, სასიხარულო ცხოვრების შენების უფლებისათვის იბრძოდნენ საბჭოთა ადამიანები.

ლენინმა და სტალინმა თავიანთი ხელმძღვანელობით ზურგში და ფრონტზე უზრუნველჰყვეს ომისადმი, სამშობლოს დაცვისადმი ეს სერიოზული დამოკიდებულება. მათ შექმნეს გმირი წითელი არმია. მათ პოლიტიკურად აღზარდეს იგი. იმის მიუხედავად, რომ იმ წლებში საბჭოების ქვეყანა მეტად მძიმე მდგომარეობაში იყო, არმიამ მიიღო საჭირო იარაღი და საომარი მასალა. ბოლშევიკებმა ჩვენი ქვეყანა ერთიან სამხედრო ბანაკად გადააქციეს, რომელიც აწვდიდა ფრონტს საჭურველს, საომარ მასალას, ტანისამოსს, სურსათსა და შევსებას.

1918-1920 წლების სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდში წითელი არმიის გამარჯვებამ ხანგრძლივი მშვიდობიანი შესვენება უზრუნველჰყო საბჭოების ქვეყნისათვის. ამ შესვენების დროს საბჭოთა სახელმწიფომ თავისი ძალები მშვიდობიან მშენებლობას მოახმარა. მაგრამ განა შეგვეძლო დაგვევიწყნა, რომ საბჭოთა ხალხის მტრები ისწრაფვიან შეგვიწყვიტონ ეს შესვენება? ლენინი გვაფრთხილებდა: „...როდესაც ჩვენს მშვიდობიან მშენებლობას მოვკიდეთ ხელი, ჩვენ ყოველი ღონე ვიხმარეთ, რომ იგი განუწყვეტლივ განგვევრძო. ამავე დროს, ამხანაგებო, ფხიზლად იყავით, თვალის ჩინივით გაუფრთხილდით ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი წითელი არმიის თავდაცვისუნარიანობას..." ლენინი გვაფრთხილებდა: „...ვინც დაივიწყებს იმ საშიშროებას, რომელიც მუდამ გვემუქრება, რომელიც არ შესწყდება, სანამ მსოფლიო იმპერიალიზმი არსებობს,—ვინც ამას დაივიწყებს, იგი ჩვენს მშრომელთა რესპუბლიკასაც დაივიწყებს".

საბჭოთა ხალხს არ დაუვიწყნია ეს გაფრთხილება. საბჭოთა ხალხი, რომელსაც ამხანაგი სტალინი ხელმძღვანელობს, მთელი ამ წლების განმავლობაში უდიდეს ყურადღებას უთმობდა წითელ არმიასა და წითელ ფლოტს, მათს შეიარაღებას, მათს ორგანიზაციას, მეთაურთა შემადგენლობის მომზადებას, მათს პოლიტიკურ განათლებას, ბრძოლისუნარიანობის გაძლიერებას, დისციპლინის, ამტანობისა და ბრძოლაში უშიშრობის დანერგვას. ამხანაგი სტალინი დაუღალავად ზრუნავდა საბჭოთა ხალხის შეიარაღებული ძალისათვის, როგორც საყვარელი შვილისათვის.

სამშობლოს დაცვის დიადმა იდეამ მკაფიო გამოხატულება ჰპოვა სტალინურ კონსტიტუციაში. საყოველთაო სამხედრო ვალდებულება კანონია. მუშურ - გლეხურ წითელ არმიაში სამხედრო სამსახური სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას წარმოადგენს. სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმინდა მოვალეობაა.

საბჭოთა ხალხის სამამულო ომი ჰიტლერის გერმანიის წინააღმდეგ, რომელიც მუხანათურად, ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას, სსრ კავშირის ყველა მოქალაქისაგან მოითხოვს ამ წმინდა მოვალეობის შესრულებას. წითელი არმია გმირულად იცავს თავის სამშობლოს. უკვდავი სახელი მოიხვეჭეს მთელმა ჯარის შენაერთებმა—დივიზიებმა, ბრიგადებმა, პოლკებმა და ცალკეულმა მებრძოლებმა, მეთაურებმა, კომისრებმა, პოლიტმუშაკებმა, სამხედრო ინჟინრებმა, ექიმებმა, სამედიცინო დებმა, სანიტრებმა. უკვდავი სახელი მოიხვეჭეს ლენინგრადის, მოსკოვის, ტულის, ოდესის, კიევისა და მრავალი სხვა ქალაქის მამაცმა დამცველებმა.

დადგება დრო, და უამრავი მშვენიერი, წარმტაცი წიგნი დაიწერება მასობრივ გმირობაზე, ცალკეულ პირთა საგმირო საქმეებზე. განა შეიძლება დავიწყებულ იქნას პანფილოვის სახელობის დივიზიის 28 მამაცი გვარდიელის გმირობა, რომელნიც 50 ტანკის წინააღმდეგ იბრძოდნენ! სიკვდილი ან გამარჯვება! — აი მათი ლოზუნგი. გვარდია მტერს არა ნებდება! ისინი დაიღუპნენ, მაგრამ მტერი წინ არ გამოუშვეს. განა დავიწყებული იქნება მფრინავ გასტელლოს სახელი? განა დავიწყებას მიეცემა ტანკისტ გრიგორიევის უმაღლითო გმირობა? საქვეყნოდ გაითქვა სახელი ისტრაფულ მამედოვმა, რომელიც აზერბაიჯანში დაიბადა და ნოვგოროდთან იცავს თავის სამშობლოს. ჩვენი ქვეყანა სიყვარულით იხსენიებს თავის გმირ სტალინურ შევარდნებს: უფროს სერჟანტ ივანოვს, კაპიტან გრეკოვს, ლეიტენანტ ლისკონოჟენკოს, სამხედრო ტექნიკოსს ტანკისტ გორელიკს, სიყვარულით იხსენიებს ტანკისტებს — კოტოვს, ლოგინოვს, იუდენკოს, რომელნიც 77 საათს იბრძოდნენ ტანკით გერმანელთა სანგრების განლაგებაში; სიყვარულით ახსენებს დიდი სამამულო ომის მრავალი ასი და ათასი გმირის სახელს.

მაგრამ სამშობლოს იცავს არა მარტო ის, ვისაც ხელში იარაღი უჭირავს და ფრონტზე იბრძვის. სამშობლოს იცავს ისიც, ვინც ომიანობის დროის ყველა სიძნელეს სძლევს და დაუცხრომლად უმზადებს იარაღს მებრძოლთ. საკმარისია დავასახელოთ ამას წინათ დაჯილდოებული გორკის ავტოქარხანა, მაგნიტოგორსკისა და კუზნეცკის ქარხნები, რომელნიც დაჯილდოებული არიან ტანკებისათვის საჭირო ჯავშნის დამზადებისათვის, მოსკოვისა და ლენინგრადის ქარხნები, რომელნიც დაუსრულებელ ნაკადად იძლევიან იარაღს ფრონტისათვის.

ჩვენს სამშობლოს იცავენ ის სახელოვანი კონსტრუქტორებიც, რომელნიც მთელ თავიანთ ენერგიას, თავიანთ ცოდნას, თავიანთ ნიჭს, თავიანთ გამჭრიახ გონებას ახალ-ახალი სახის იარაღის შექმნას ანდომებენ: ილიუშინის, მიქოიანისა და გურევიჩის თვითმფრინავები, კონსტრუქტორ შპიტალნის საავიაციო საჭურველი, კლიმოვისა და მიკულინის მოტორები, კოტინის ტანკები, გრაბინის ზარბაზნები, დეგტიაროვის, კოსტიკოვის იარაღი.

სამშობლოს იცავს ისიც, ვისაც ბრძოლიდან გამოჰყავს დაჭრილები, ჰკურნავს და სიყვარულით უვლის მათ. სამშობლოს იცავს ისიც, ვინც თავდაცვითს ნაგებობებს აშენებს, სთხრის სანგრებს და სხვ. სამშობლოს იცავს ისიც, ვინც არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც ზრუნავს იმისათვის, რომ არმიას არაფერი მოაკლდეს. სამშობლოს იცავს აგრეთვე ყველა ის მილიონობით კოლმეურნე და კოლმეურნე ქალი, ვინც ძალ-ღონესა და სახსრებს არა ზოგავს, რათა მეტი სურსათი და ნედლეული მისცეს ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას.

მაშ ყოველმა ჩვენგანმა შეამოწმოს თავისი თავი — **ყველაფერი გააკეთა თუ არა თავისი სამშობლოს დასაცავად**? ყველაფერი გააკეთა თუ არა სამშობლოს წინაშე თავისი წმიდა მოვალეობის შესასრულებლად? შესაძლებელია თუ არა, რომ უფრო მეტი მივცეთ იარაღი, საომარი მასალა და ყოველივე ის, რაც წითელ არმიას ესაჭიროება, რაც საჭიროა სამშობლოს დასაცავად?

დღეს, როდესაც წითელი არმია მტერს ერეკება ჩვენი დიადი სამშობლოს ქალაქებიდან და სოფლებიდან, სპობს ათასობითა და ათიათასობით ფაშისტ მხეცს, რომელნიც ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრნენ, რათა დაიმონონ იგი, სამშობლოს დაცვის დიადი იდეა ახალ-ახალი გმირობებისათვის აღაფრთოვანებს წითელი არმიის მებრძოლთ, მეთაურებს, კომისრებსა და პოლიტმუშაკებს. „სამშობლოსათვის, სტალინისათვის!" ამ შეძახილით მიდიან ისინი წინ, ღირსეულად მიაქვთ ლენინ-სტალინის ყოვლისშემძლე დროშა და დიდებით მოსავენ საბჭოთა მეომრის სახელს.

მათ მიელიან, როგორც გერმანელი მხეცებისაგან მხსნელთ, როგორც გერმანელთა საზიზღარი უღლისაგან განმათავისუფლებელთ მილიონობით საბჭოთა ადამიანები — რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების — ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის მოსახლეობა. ბელორუსი ხალხის წარმომადგენელთა მიტინგის მასალები, რომელიც დღეს „პრავდაში" იბეჭდება, უაღრესად ფართო გამოძახილს ჰპოვებს ფრონტს გადაღმა მყოფ ჩვენს ძმებში, საბჭოთა ბელორუსიის მოსახლეობაში, რომელიც ტანჯვა-წამებას განიცდის და რომელიც ბრძოლისა და გამარჯვების ნებისყოფით არის გამსჭვალული.

სამშობლოს დაცვის დიადი იდეით, რომელიც მთელ საბჭოთა ხალხს აღაფრთოვანებს, ზედიზედ მიდიან ბრძოლაში პოლკები და არ არსებობს ისეთი ძალა, რომ შესძლოს შეაჩეროს ჩვენი წითელი არმია, რომელიც იცავს საბჭოთა ხალხის სამართლიან საქმეს, მის მიწა-წყალს, მის კულტურას, მის სიცოცხლეს, ღირსებასა და თავისუფლებას.

„პრავდის" მოწინავე, 20/I.

საბჭოთა პროფკავშირების დელეგაცია ინგლისში

[illegible]

ინგლისის საზღვაო მინისტრის სიტყვა

[illegible]

ინგლისური პრესა და რადიო ფელდმარშალ რაიხენაუს სიკვდილის შესახებ

[illegible]

ინგლისელი კორესპონდენტები საბჭოთა მფრინავების [illegible]

[illegible]

გერმანიაში მზადდება საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტის კინოქრონიკის ფალსიფიკაცია

[illegible]

ჰიტლერელებმა აკრძალეს ნაპოლეონის ყოველგვარი ხსენება

[illegible] ჰოლანდიაში გერმანიის საოკუპაციო ხელისუფლებამ სპეციალური დეკრეტით აკრძალა ნაპოლეონის ყოველგვარი ხსენება ისტორიის გაკვეთილებზე ჰოლანდიის სკოლებში. რო- [illegible] კრახს იმისათვის, რომ თავისი მოწაფეებისათვის დაენახვებინათ ჰიტლერის არმიის დამარცხების გარდუვალობა.

ბრაუხიჩის უცნაური ავადმყოფობა

ჟენევა, 19 იანვარი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ ბრაუხიჩი უკანასკნელ თვეებში ავად იყო „გულის მოქმედების მძიმე დარღვევით" და, ამასთან დაკავშირებით, მისთვის „ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ". ცნობაში ნათქვამია, რომ, თუმცა ოპერაციის შედეგები დამაკმაყოფილებელია, ბრაუხიჩი მაინც იძულებული იქნება „მკურნალობის ხანგრძლივი კურსი გაიაროს". ცნობამ ბრაუხიჩის ავადმყოფობის შესახებ ინტერესი გამოიწვია ადგილობრივ ჟურნალისტთა წრეებში. აქ აღნიშნავენ: ეს ცნობა ჰიტლერელებმა გენერალ რაიხენაუს უცნაური სიკვდილის შემდეგ მაშინვე გამოაქვეყნეს, და ოფიციალური ცნობა ბრაუხიჩის ავადმყოფობის შესახებ ისეა ფორმულირებული, რომ როგორმე ახსნან, თუ რატომ არსად ჩანს გადაყენებული ბრაუხიჩი, რომლის ადგილსამყოფელი უცნობია; ასეთი ახსნა იმისათვის დასჭირდათ, რომ მისი გამოუჩენლობა უკვე თვალში ეცა ყველას და შეშფოთება გამოიწვია გენერალთა ერთ ნაწილში.

მზადება უცხოელთა ლეგიონის შესაქმნელად ამერიკის შეერთებულ შტატებში

ლონდონი, 19 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, ვაშინგტონის მთავრობის წრეებში იხილავენ საკითხს, რომ ყველა ეროვნების პირებისაგან შეიქმნას უცხოელთა ლეგიონი „თავისუფლების ლეგიონის" სახელწოდებით. ასეთი ლეგიონის შექმნის მომხრენი აცხადებენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ბევრ უცხოელს სურს იბრძოლოს ამერიკის დროშის ქვეშ, მაგრამ ისინი მოითხოვენ, რათა კონგრესმა მიიღოს კანონი იმისათვის, რომ ასეთ უცხოელებს ნება დაერთოთ ამერიკის არმიაში შევიდნენ. საორიენტაციო გეგმები ითვალისწინებენ ლეგიონის შექმნას ეროვნებათა ისეთი პირებისაგან, რომლებიც შეიძლება იყვნენ მეწინავე რაზმები სადესანტო ოპერაციებისათვის თავიანთ ქვეყნებში.

ჰიტლერელები ხოცავენ საბჭოთა სამხედრო ტყვეებს

სტოკჰოლმი, 19 იანვარი (საკდესი). ნორვეგიელები არაერთხელ ყოფილან იმის მოწმენი, თუ როგორ იქცევა დაუხერეტიათ გერმანელებს საბჭოთა სამხედრო ტყვეები. მაგალითად, ერლანდეტის კუნძულზე, ტრონჰეიმის მახლობლად, გერმანელმა გუშაგმა იქვე მოკლა 3 რუსი, რომლებმაც უარი სთქვეს მიწისქვეშა თხრილში შესულიყვნენ, სადაც კაბელი იყო გაყვანილი. იქვე დახვრიტეს კიდევ ორი რუსი იმ საბაბით, რომ მათ უარი განაცხადეს შეესრულებინათ დაკისრებული სამუშაო. საბჭოთა სამხედრო ტყვეებს მუდამ სცემენ იმისათვის, რომ ისინი „არასაკმაოდ ეფექტურად მუშაობენ". ნორვეგიელი მოსახლეობის ცდები, რომ რუსებს დაეხმარონ, დიდ საშიშროებას შეიცავს ნორვეგიელებისათვის.

ჰიტლერელთა ტერორი ბელგიაში

ლონდონი, 19 იანვარი (საკდესი). ლონდონის ბელგიელთა წრეებში მიღებულია ცნობა, რომ გერმანიის სამხედრო ტრიბუნალმა ბრიუსელში სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა ჟან ფილიპს, ჟორჟ დეკერს და პოლ პარენს „გერმანიის საოკუპაციო არმიისადმი მტრული მოქმედებისათვის". ხუთ ბელგიელს ხანგრძლივი პატიმრობა მიუსაჯეს. გერმანელ ჯარისკაცთა შეურაცხყოფისა და დაცინვისათვის დააპატიმრეს ბევრი მოსწავლე ვაჟი და ქალი.

ბელგიელი ფაშისტის ჩივილი

ლონდონი, 19 იანვარი (საკდესი). ლონდონის უცხოელ ჟურნალისტთა შორის ვრცელდება ბელგიელ ჰიტლერელთა მეთაურის დეგრელის წერილის ნაწყვეტი. დეგრელი თავისი „პარტიის" წევრებს შორის შეგროვილ ერთ მუჭა ნაძირალებთან ერთად ჰიტლერელთა დასახმარებლად გაემგზავრა საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე.

„ჩვენი ცხოვრება,—სწერს დეგრელი, — მძიმეა. საშინელი სიცივე გვტანჯავს. ჩვენ გვტანჯავს ის, რომ სუსხიან ღამეებში გვიხდება გამყინავი იარაღის ხელში დაჭერა, გვტანჯავს დამზრალი ყურები, ცუდი სადგომი. ჩვენს ფეხებს სისხლი სდის, ხოლო ჩვენს სხეულს პარაზიტები სჭამენ. ჩვენ გაყინული პურით ვიკვებებით და, რაკი წყალი არა გვაქვს, ყინულს ვწუწნით. მაგრამ ყველაზე საშინელი წამება იმის შეგნებაა, რომ ვისთვისაც იტანჯები, იმას შენ სძულხარ".

ამრიგად, ფაშისტმა არამზადამ აღიარა, რომ ბელგიელი ხალხი მას და მის ბანდას სიძულვილით ეპყრობა.

მუსოლინის ხალხის მღელვარებისა ეშინია

ნიუ-იორკი, 18 იანვარი (საკდესი). ამერიკული ბიულეტენი „ფორეინ კორესპონდენსი" იუწყება, რომ მუსოლინმა რომში მოიწვია ფაშისტური პარტიის სარდინიისა და სიცილიის კუნძულების ორგანიზაციათა მდივნების თათბირი. მუსოლინიმ მათ უბრძანა შემდეგში პირადად გაუკეთონ ხოლმე მოხსენება ყველა საკითხზე. როგორც ჰფიქრობენ, მუსოლინის ეშინია, რომ სამხრეთ იტალიაში მღელვარება არ დაიწყოს.

ამავე ბიულეტენის გადმოცემით, მუსოლინიმ ფაშისტური პარტიისათვის ეგრეთწოდებული „დისციპლინარული სასამართლო" შეჰქმნა.

სამედიცინო მომსახურების დეზორგანიზაცია გერმანიაში

ლონდონი, 17 იანვარი (საკდესი). გაზეთ „ტაიმსის" ლისაბონელი კორესპონდენტი იუწყება გერმანიაში სამედიცინო მომსახურების სრული დეზორგანიზაციის შესახებ. გერმანია მწვავე ნაკლებობას განიცდის, როგორც მედიკამენტების, ისე სამედიცინო პერსონალის მხრივ. სამოქალაქო მოსახლეობა იძულებულია რამდენიმე კვირაობით ელოდოს მცირე დოზის იოდის მიღებას. იმ ექიმებს, რომელთაც კერძო პრაქტიკა აქვთ, უბრძანეს ზერელედ გასინჯონ ხოლმე ავადმყოფები, რათა, რაც შეიძლება, ჩქარა გაატარონ პაციენტების დაუსრულებელი რიგი. მედიკამენტების ნაკლებობა და სისტემატური არასაკმაო კვება ხელს უწყობს ეპიდემიურ დაავადებათა გავრცელებას. ნიურნბერგსა და სხვა ქალაქებში აღნიშნულია პარტახტიანი ტიფით დაავადების მრავალი შემთხვევა.

ომი წყნარ ოკეანეში

ამერიკის ცნობები

ნიუ-იორკი, 19 იანვარი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ შემცირდა მტრის მოძალება ბატაანის ნახევარკუნძულზე (ფილიპინები). სამხედრო ოპერაციებმა, რომლებსაც მეტად აქტიური ხასიათი ჰქონდათ, ამჟამად მნიშვნელოვნად დაჰკარგეს თავისი ინტენსივობა. მტრის რამდენიმე იერიში მოგერიებულია. თავისი წინანდელი პოზიციების დაბრუნების მიზნით ჩატარებული მთელი რიგი ოპერაციების დროს ამერიკელებმა ადგილობრივ წარმატებებს მიაღწიეს. ჩამოგდებულია იაპონიის 4 თვითმფრინავი.

ინგლისის ცნობები

ლონდონი, 19 იანვარი (საკდესი). ინგლისის სინგაპურის ჯარის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ გემასის რაიონში პატრულების მოქმედება გრძელდება. ინგლისის ბომბდამშენები თავს დაესხნენ გემასის დამხარისხებელ სადგურს და დიდი ზარალი მიაყენეს რკინიგზის მოძრავ შემადგენლობას. ბევრ ადგილას ხანძარი გაჩნდა. თავდასხმის დროს ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს მტრის ერთი თვითმფრინავი და ტყვიამფრქვევი დაუშინეს მტრის სატრანსპორტო კოლონების თავმოყრის ადგილებს. დაზიანებულია ბევრი ავტომანქანა. მეორე საავიაციო შენაერთმა დაბომბა და ტყვიამფრქვევი დაუშინა იაპონელთა ბარჟებს, რომლებსაც საომარი მასალა გადაჰქონდათ მდინარე მუარით.

იაპონიის თვითმფრინავებს, რომლებიც თავს დაესხნენ სინგაპურს, დახვდნენ ინგლისის ავიაგამანადგურებლები. მათ იაპონიის 2 თვითმფრინავი მოსპეს და შვიდი თვითმფრინავი დააზიანეს. ინგლისელებმა დაჰკარგეს ერთი ავიაგამანადგურებელი, რომლის მფრინავი გადარჩა. იაპონელთა მიერ საზღვაო ბაზის რაიონში ჩამოყრილმა ბომბებმა ნავთსაცავების ხანძარი გამოიწვიეს. ზოგიერთ ადგილას ხანძარი ლიკვიდირებულია და წარმატებით გრძელდება მუშაობა ცეცხლის დანარჩენი კერების ლიკვიდაციისათვის.

ფრონტის დასავლეთ ნაწილში, მდინარე მუარის რაიონში იაპონელთა შემდგომი წინსვლა უმნიშვნელოა, მოსპობილია იაპონელთა 8 ტანკი.

ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის ცნობები

ბატავია, 19 იანვარი (საკდესი). ჰოლანდიის ინდოეთის სარდლობის კომუნიკეში ნათქვამია, რომ იაპონიის 8 ბომბდამშენმა სამი ავიაგამანადგურებლის თანხლებით იერიში მიიტანა ცელებესის კუნძულის აეროდრომზე. თავდასხმამ აეროდრომს ერთგვარი მატერიალური ზარალი მიაყენა. მსხვერპლი არ არის. ახალი თავდასხმა მოხდა ამბოინზე. ამასთან იერიში მიმართული იყო სანავსადგურო ნაგებობათა წინააღმდეგ. ზარალი მეტად უმნიშვნელოა. მინაჰასში წარმოებული ბრძოლების მიმდინარეობის შესახებ ცნობები არ მოსულა.

იაპონიის ცნობები

ტოკიო, 19 იანვარი (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 18 იანვარს იაპონიის ავიაცია დღისით თავს დაესხა სინგაპურს. ბომბარდირების შედეგად სემბავანის რაიონში ნავთსაცავებს ხანძარი გაუჩნდა. მალაკაში საჰაერო ბრძოლების დროს ჩამოგდებულია ინგლისის 4 თვითმფრინავი.

დომეი ცუსინის სააგენტოს გადმოცემით, იაპონიის ჯარები კვლავ მიიწევენ სამხრეთისაკენ მალაიის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ. იაპონიის ჯარებმა ბრძოლა გაუმართეს ინდოეთისა და ავსტრალიის ჯარის ნაწილებს.

საქონლის მიწოდება ბირმის გზით

ნიუ-იორკი, 19 იანვარი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი რანგუნიდან გადმოგვცემს, რანგუნში მყოფი ამერიკელთა სამხედრო მისიის მეთაურმა განაცხადა, რომ ბირმის გზით ტრანსპორტირების პირობები მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ამასთან დაკავშირებით, ტვირთზიდვა ბირმის გზით თითქმის ერთიორად გადიდდა, იმასთან შედარებით, რაც იყო წყნარ ოკეანეში ომის დაწყებამდე. ამერიკის მისია, მოძრაობის წესების შესრულების უზრუნველსაყოფად, ცდილობს ამ გზაზე ტვირთზიდვის ისეთი სისტემა შემოიღოს, როგორსაც ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში იყენებენ. განზრახულია დააყენონ გზაზე ამერიკელთა ან ინგლისელთა პატრულები. ბირმაში მუშა ხელის ნაკლებობა აყოვნებს დატვირთვის ოპერაციებს, მაგრამ ამჟამად ბირმაში დიდძალი ჩინელი მუშა გაიგზავნა.

ავსტრალიის ავიაციის თავდასხმა კაროლინის კუნძულებზე

ლონდონი, 19 იანვარი (საკდესი). როგორც მელბურნიდან გადმოგვცემენ, ავსტრალიის ავიაციის მინისტრმა დრეიკფორდმა განაცხადა, რომ ავსტრალიის თვითმფრინავები თავს დაესხნენ იაპონიის სამანდატო ტერიტორიას—კაროლინის კუნძულებს. ამ ოპერაციიდან არ დაბრუნებულა ერთი თვითმფრინავი. იაპონიის თვითმფრინავებმა დაბომბეს პუნქტი რაბაულის (ახალი გვინეა) მახლობლად. ამ დაბომბვის შედეგად მიყენებული ზარალის შესახები ცნობები მიღებული არ არის.

იაპონია-ჩინეთის ომი

ხუბეის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში ჩინეთის ჯარის ნაწილებმა ძეხოს (სუისიანის აღმოსავლეთით) მიაღწიეს.

ხუნანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში ჩინეთის ჯარებმა იერიში მიიტანეს იაპონელთა ჯარის მეწინავე ნაწილებზე სიანინის რაიონში. იაპონელებმა დაიხიეს ლულინტუნის მიმართულებით (20 კილომეტრზე სიანბინის ჩრდილოეთით).

19 იანვარი (საკდესი).

ინგლისის ავიაციის მოქმედება ლიბიაში

ლონდონი, 18 იანვარი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის საჰაერო ძალთა სარდლობის მორიგ კომუნიკეში ნათქვამია, რომ 15 იანვარს, ღამით, ინგლისის ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს სხვადასხვა ობიექტების წინააღმდეგ ელ-აგეილასა და სირტს შორის მდებარე მთავარ გზაზე. დაბალი ღრუბლიანობისა და ქვიშა-ქუხილის მიუხედავად, ინგლისის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ტრიპოლს. ბომბარდირებამ ბევრ ადგილას ხანძარი გამოიწვია. ხმელთაშუა ზღვის ცენტრალურ ნაწილში ინგლისის საზღვაო ავიაციის თვითმფრინავებმა 15 იანვარს, ღამით, წარმატებით მიიტანეს იერიში მტრის სატრანსპორტო გემზე, რომელიც საესკადრო ნაღმოსნის თანხლებით მიდიოდა. გემს 2 ყუმბარა მოხვდა, რის შემდეგ სვლა შესწყვიტა და კვამლში გაეხვია.

მალტაზე მტრის ავიაციის თავდასხმის დროს ინგლისის ავიაგამანადგურებლებმა დააზიანეს „იუნკერს—88". ინგლისის ყველა თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამ ოპერაციებში, უვნებლად დაბრუნდა თავის ბაზებში.

ინგლისის ოპერაციები ლიბიაში

ლონდონი, 19 იანვარი (საკდესი). ინგლისის ახლო აღმოსავლეთის სარდლობის მორიგ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ჰალფაიის დაცემის შემდეგ კირენაიკა სავსებით გაწმენდილია მტრისაგან, გარდა იმ ტერიტორიისა, რომელიც ელ-აგეილის აღმოსავლეთით მდებარეობს, სადაც მდგომარეობა უცვლელია. იტალიელი გენერალი დე გეორგი და სავოიის 55-ე დივიზიის მეთაურის თანაშემწე ჰალფაიაში მყოფ უფროს გერმანელ ოფიცერთან ერთად დაგვენებდნენ. მტერმა ყოველგვარი პირობის გარეშე დასთმო პოზიციები და ვალდებულება იკისრა არ მოსპოს დიდძალი ქვემეხი და საომარი მასალა.

ინგლისის წყალქვეშა ნავის დაღუპვა

ლონდონი, 19 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის საზღვაო სამინისტრომ გამოაცხადა, რომ წყალქვეშა ნავი „პერსეუსი", რომელსაც დიდი ხანია თავის შესახებ არავითარი ცნობა არ მოუწოდებია, დაღუპულად უნდა ჩაითვალოს.

პანამის ტანკერის ტორპედირება ამერიკის შეერთებული შტატების ნაპირებთან

ვაშინგტონი, 19 იანვარი (საკდესი). როგორც მე-3 სამხედრო-საზღვაო ოლქის სარდლობა იუწყება, 15 იანვარს, დილით, 60 მილზე ლონგ-აილენდის სამხრეთით (ნიუ-იორკის მახლობლად მდებარე კუნძული) ტორპედირებულ იქნა პანამის ტანკერი „ნორვესი", კომანდიდან გადარჩენილია 39 კაცი. კომანდის შემადგენლობიდან ერთი კაცი უკვალოდ დაიკარგა.

ჰიტლერელთა „მეხუთე კოლონა" ლათინურ ამერიკაში

ლონდონი, 18 იანვარი (საკდესი). როგორც გაზეთი „ტაიმსი" იუწყება, ბრაზილიაში ლერძის სახელმწიფოების „მეხუთე კოლონის" საქმიანობის გამოძიებამ ცხადჰყო, რომ გერმანელები განსაკუთრებულ აქტივობას იჩენენ რიო-გრანდე-დო-სულის პროვინციაში. ჰიტლერელები ცდილობენ თავის კონტროლქვეშ მოაქციონ ამ პროვინციაში მცხოვრებ გერმანელთა უმეტესი ნაწილი. კვლევაძიებამ გამოამჟღავნა ჰიტლერელთა შეთქმულება ბრაზილიის სუვერენიტეტისა და მთლიანობის წინააღმდეგ. გაზეთის გადმოცემით, ჰიტლერელები ძირგამომთხრელ მუშაობას ეწევიან არგენტინასა და ჩილეში.

გერმანიის მწვავე ეკონომიური გაჭირვება

სტოკჰოლმი, 19 იანვარი (საკდესი). გაზეთი „ფრანკფურტერ ცაიტუნგი" გადმოგვცემს, რომ „1941 წელს გერმანიამ გაცილებით უფრო მწვავედ იგრძნო ომის ეკონომიური გავლენა, ვიდრე 1940 წელს". შარშან,—სწერს გაზეთი,—„მრეწველობაში ძლიერ იჩინა თავი მუშახელის ნაკლებობამ". გაზეთი აღნიშნავს რომ უცხოეთიდან გადმოსახლებული მოხუცების, უამრავი უცხოელი მუშისა და სამხედრო ტყვის გამოყენების მიუხედავად, წარმოებაში მომუშავე პირთა საერთო რიცხვი ერთი მილიონი კაცით შემცირდა მუშათა იმ რაოდენობასთან შედარებით, რაც ომის დასაწყისში იყო.

გერმანიის ხელისუფალნი იძულებული არიან სულ უფრო და უფრო ფართოდ გამოიყენონ სხვადასხვა იძულებითი ღონისძიებანი, რათა მუშა-ხელით პირველ რიგში უზრუნველჰყონ სამხედრო მრეწველობა. გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი" იუწყება, რომ შექმნილია სპეციალური კომისიები, რომლებსაც მუშახელი მოხმარების საგნების საწარმოებიდან სამხედრო ქარხნებში გადაჰყავთ. იმავე გაზეთის ცნობით, მუშახელის, სათბობისა და ნედლეულის ნაკლებობის გამო ბევრ საწარმოს აერთებენ, ბევრს კი ხურავენ.

პროდუქციის მოცულობასა და ხარისხზე გავლენას ახდენს არა მარტო მუშახელის ნაკლებობა, არამედ მუშახელის კვალიფიკაციის დონის მკვეთრი დაცემაც. „ფრანკფურტერ ცაიტუნგი" სწერს, რომ საწარმოების მდგომარეობას „ამძიმებს კვალიფიციური პერსონალის ნაკლებობა". გაზეთი „ფელკიშერ ბეობახტერი" მოუწოდებს გააძლიერონ ზეგავლენა მუშებზე, რათა „ხელი შეუშალონ შრომის ნაყოფიერების შემცირებას", რასაც, როგორც თვით გაზეთი აღიარებს, იწვევს არა მარტო მუშების დაბალი კვალიფიკაცია, არამედ საქონლისა და სურსათის ნაკლებობაც. გაზეთი გაფრთხილებას იძლევა, რომ მოსალოდნელია „მომარაგების შემდგომი გათანაბრება, რასაც მრავალი ოჯახის საარსებო დონის შემცირება მოჰყვება".

„ფელკიშერ ბეობახტერი" სოფლის მეურნეობის მდგომარეობას ახასიათებს და სწერს, რომ არახელსაყრელმა ამინდმა გლეხობა დიდ გაჭირვებაში ჩააგდო. გლეხობის მდგომარეობაზე განსაკუთრებით მწვავე გავლენა მოახდინა საკვები კულტურებისა და კარტოფილის მოუსავლობამ. საქონელბრუნვის მდგომარეობის შესახებ გაზეთი აღნიშნავს, რომ „საცალო ვაჭრობის მარაგი მნიშვნელოვნად შემცირდა და საქონლის ასორტიმენტი გაცილებით გაუარესდა". შემცირდა საცალო ვაჭრობის, კერძოდ, უნივერსალური მაღაზიების საქონელბრუნვა. საქონლის ნაკლებობის გამო, დიდძალი სავაჭრო საწარმო იხურება. გაზეთი აღნიშნავს, რომ სამხედრო მრეწველობის მუშათა კვებისა და სურსათითა და საქონლით უზრუნველყოფის საკითხი გერმანიის ეკონომიკის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემად იქცა.

სტოკჰოლმი, 19 იანვარი (საკდესი). გაზეთი „ბერლინერ ბერზენცაიტუნგი" იუწყება, რომ ბერლინის ვაგზლის მახლობლად, გრიუნევალდში დაიწვა დიდი საწყობი.

გერმანული გაზეთი „ჰამბურგერ ფრემდენბლატი" აქვეყნებს ოლდენბურგის საგანგებო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანეს გერმან ჰოფმანს სასურსათო მაღაზიის დარბევაში მონაწილეობის მიღებისათვის.

გერმანიის მიერ ოკუპირებული ქვეყნების არალეგალური პატრიოტული პრესა

ნიუ-იორკი, 16 იანვარი (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბიუნის" ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ, არსებული ცნობებით, ბელგიასა, საფრანგეთსა, ჰოლანდიასა, ჩეხოსლოვაკიასა, ნორვეგიასა და თვით გერმანიაში 300-ზე მეტი არალეგალური პატრიოტული გაზეთი გამოდის. კორესპონდენტის სიტყვით, პირველ ადგილზეა ბელგიის არალეგალური პრესა, რომელიც 150 სხვადასხვა გამოცემას შეიცავს. გამოდის ყოველდღიური გაზეთები, რომლებსაც ერთ ფურცლად უშვებენ მინოგრაფზე დაბეჭდილს, და ჟურნალებიც კი, 32 გვერდის მოცულობით. არალეგალური პოლონური გაზეთები გამოდის საიდუმლო სტამბებში, რომლებიც პოლონეთის შორეულ ტყეებსა და მიყრუებულ რაიონებშია მოთავსებული.

ჩეხოსლოვაკიის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული არალეგალური გაზეთი ორი წელია რეგულარულად გამოდის პარასკევობით, მიუხედავად იმისა, რომ გაზეთის რედაქცია იძულებულია ნომრის გამოსვლის შემდეგ ყოველთვის ბინა იცვალოს.

ნორვეგიაში სულ ცოტა 20 არალეგალური პატრიოტული გაზეთი გამოდის.

40 არალეგალური გაზეთიდან, რომლებიც ბელგიაში გამოდის, ყველაზე ფართოდ გავრცელებულია გაზეთი „ლიბრ ბელჟიკ", არსებული ცნობებით, მისი ტირაჟი 100 ათას ცალს აღწევს.

ჰოლანდიაში გამოდის მრავალი არალეგალური გაზეთი, კერძოდ „ფრიი ნედერლანდი" და „გეზენი". გერმანიაში ცნობილია 12 არალეგალური გაზეთი.



ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის შენობის მაკეტი, შესრულებული ახალგაზრდა მხატვარ ვლადიმერ ცხვარაძის მიერ.
მხატვარმა ვ. ცხვარაძემ მაკეტის კეთება დაიწყო 1940 წლის სექტემბერში და დაამთავრა 1942 წლის იანვარში. მაკეტი წარმოადგენს ნატურის 50-ჯერ შემცირებულ სახეს. მაკეტის ფასადის სიგრძე უდრის 162 სმ., სიგანე—105 სმ., სიმაღლე—75 სმ., იწონის 70 კგ. მაკეტი მხატვრის მიერ შესრულებულია ადგილობრივი მასალისაგან.

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო სესია

19 იანვარს შესდგა საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების სამეცნიერო სესია.

მოხსენებით თემაზე „შავ ზღვაში კავკასიის ნაპირებთან ბენტოსის საკვები ფართობების განაწილება" გამოვიდა პროფესორი ნ. ვ. ნიკიტინი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, შავი ზღვის კავკასიის ნაპირებთან ბენტოსის (ფსკერის) ბიომასის პირველად მიღებული საშუალო ოდენობის შედარება იმ მონაცემებთან, რომლებიც მიღებულია აზოვის, კასპიისა და ბარენცის ზღვებისათვის, გვიჩვენებს, რომ შავ ზღვას მეტად მნიშვნელოვანი საკვები რესურსები მოეპოვება. შავი ზღვის ფსკერის „ცოცხალი ზონის" ფარგლებში კავკასიის ნაპირებთან, ბენტოსის ბიომასის ოდენობა მერყეობს რამდენიმე მეათედი გრამიდან 1.500 გრამამდე ფსკერის ზედაპირის ერთ კუბიკურ მეტრზე. ეს ციფრები აბათილებენ შავი ზღვის შესახებ შექმნილ წარმოდგენას, რომლის მიხედვითაც მისი წყლის აუზი ორგანული ცხოვრებით ძალიან ღარიბად ითვლება.

მოხსენებით „შავი ზღვის ორაგული, მისი სისტემატური მდგომარეობა, ბიოლოგია და სარეწაო მნიშვნელობა" გამოვიდა დოცენტი გ. ბარაჩი.

მომხსენებელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ორაგულის სარეწის სწორად განვითარების მიზნით, მიზანშეწონილია ორაგულის ჭერა სწარმოებდეს მხოლოდ თევზის ჭერის პერიოდის პირველ ნახევარში (მარტი, აპრილი).

მოხსენებით „საქართველოს ტბები და მათი სათევზაო-სამეურნეო მნიშვნელობა" გამოვიდა პროფესორი ა. სადოვსკი.

საქართველოში 300-მდე ტბაა, რომელთა დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ სრულიად არ არის შესწავლილი. საქართველოს ტბების მეურნეობათა ტიპობრივ განსალაგებლად შეიძლება საორიენტაციოდ დავსახოთ შემდეგი: ა) დაბლობების თბილ ტბებში—მეურნეობა მტკვრის ჭანარის ბაზაზე წვერას დამატებით; ბ) სამთო-სატყეო ზონის ტბებში—მეურნეობა კალმახის, სიგისა და ჭაპალის ბაზაზე; გ) ქვედა ალპური ზონის ცივ ტბებში—მეურნეობა თაფარავნის ჭანარის, სევანის ხრამულისა და, შესაძლოა, ჭაპალის ბაზაზე.

მომხსენებლის აზრით, საჭიროა ჩატარდეს ექსპერიმენტული მუშაობა და მოეწყოს ამ ტბებში სარეწი თევზისათვის უფრო ხელსაყრელი საკვები ბაზის შექმნის შესაძლებლობა.

მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიური ინსტიტუტის თანამშრომელმა ქალმა მ. ბურჯანაძემ გააკეთა მოხსენება თემაზე „ყარაიის ტბის ბენტოსის საკვები რესურსები".

მოხსენებებმა გაცხოველებული კამათი გამოიწვია. კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ მომხსენებელთა სამეცნიერო ნაშრომების დიდ ღირებულებას. (საქდესი).

„ცისფერი და ვარდისფერი"

თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა საჩვენებელი წარმოდგენა

რუსთაველის სახელობის თეატრალურმა ინსტიტუტმა მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტთა საჩვენებელი წარმოდგენისათვის აირჩია ა. ბრუნშტეინის პიესა „ცისფერი და ვარდისფერი". პიესა აგვიწერს მეფისდროინდელი გიმნაზიის ცხოვრებას და 1903—05 წლების განმათავისუფლებელი სიოს შეჭრას სასწავლებელში. ინსტიტუტის არჩევანი გამართლებულია, რადგან ბრუნშტეინის პიესა მდიდარია სხვადასხვა ხასიათებითა და სახეებით, რაც საჭირო მასალას აძლევს სტუდენტებს სამსახიობო ხელოვნების დაუფლებისათვის.

როგორც ასეთ შემთხვევაში ხდება ხოლმე, სტუდენტები ღელავდნენ, მაგრამ ეს არ აძნელებდა მათ შემოქმედებითს წარმატებას. ბევრმა სტუდენტმა გვიჩვენა მდიდარი, საიმედო მონაცემები. ასეთები არიან მ. ჩახავა (ზლიუმა), ს. ყანჩელი (ტენია), ნ. ქუთათელაძე (მარუსია), ზალდასტანიშვილი (ზინა), ნ. იასალაშვილი (კატია), გ. ვაჩნაძე („ჩოტი"), ვ. სულაქველიძე (გრიშუკი), ვ. საჯაია („ხივკა"), ს. აპრესიანი (შაპირო), დ. ქუთათელაძე (ოლქის მზრუნველი) და სხვ. სპექტაკლში მონაწილეობდნენ აგრეთვე თ. თეთრაძე, ბ. ნიკოლაიშვილი, ა. კუნელაშვილი, მ. გიჟიმყრელი, ლ. ბალისევიჩი, ბ. გეგეჭკორი და სხვ., რომელთა შესაძლებლობის გამოსავლინებლად პიესაში არ არის საკმაო მასალა.

სპექტაკლი (დადგმა ტოვსტონოგოვისა, მხატვარი ლოქტინი) კარგად ჩატარდა. სტუდენტები თამაშობდნენ გულწრფელად, მთელი მონდომებით, ახალგაზრდული გატაცებით და ამან უზრუნველჰყო წარმოდგენის წარმატება. სპექტაკლმა გამოამჟღავნა თეატრალური ინსტიტუტის ღრმა, საფუძვლიანი მუშაობა სტუდენტებთან. პიესის დედაზრის სწორად მიტანა მაყურებლამდე, ხასიათების გახსნა, გარეგნულის და შინაგანი განცდების შეხამება, სიტუაციების, კონფლიქტების დამაჯერებლად გახსნა, სამსახიობო გარდაქმნის მიღწევა, და რაც მთავარია, გულწრფელი შესრულება—ასეთ, მსახიობისათვის ძვირფას და აუცილებელ თვისებებს უნერგავს ინსტიტუტი სტუდენტებს.

გრ. ნუცუბიძე

„განთავისუფლებული როსტოვი"

ფილმი გადაღებულია როსტოვის კინოსტუდიის ქრონიკის განყოფილების მიერ როსტოვის განთავისუფლების პირველ დღეებში. იწყება ფილმი სქემით, რომელზეც მოძრავი ნახაზებით ნაჩვენებია ჩვენი არმიების ელვისებური დარტყმა, შეჭრა ქალაქში სამი მიმართულებით და მისი განთავისუფლება.

წითელი არმიის ნაწილები მისდევენ ჰიტლერელთა ურდოებს, როსტოვში კიდევ ისმის ზარბაზნების შორეული გუგუნი, მაგრამ ქალაქი უკვე სავსეა ხალხით. კინოაპარატი დაგვატარებს განთავისუფლებული ქალაქის ქუჩებში. თოვლში ყრია გერმანული ტანკების, ზარბაზნების, ავტომობილების ნამტვრევები, ჩონჩხები და იქვე—ჰიტლერელ ბანდიტთა ლეშები. გუშინ ეს მხეცები სადისტური ხარხარით ხვრეტდნენ ქუჩებში მშვიდობიან, უდანაშაულო მოქალაქეებს, ბავშვებსა და ქალებს. მაგრამ დაჰკრა შურისძიების საათმა და ახლა თვით აპოხიერებენ მიწას.

როსტოვს ღრმად აჩნია ნგრევის კვალი. აი უზარმაზარი სახლების ჩონჩხი, ვაგზალი, უკეთ ვთქვათ, ის, რაც ვაგზლისაგან დარჩა. არ მუშაობს ელსადგური, წყალსადენი. ქალები დონიდან ზიდავენ წყალს, მოქალაქეები სახლების ნანგრევებში ეძებენ დამტვრეულ ნივთებს, პირისუფალნი დასტირიან ფაშისტების მიერ ნაწამებთა გვამებს.

მაგრამ ქალაქი უკვე იმუშებს იარებს. გაჰყავთ ელექტროხაზი — მალე ტრამვაი და ტროლეიბუსი ამუშავდება, მიმდინარეობს ელსადგურისა და წყალსადენის შეკეთება — მალე ქალაქი მიიღებს სინათლესა და წყალს. ქუჩები, რომლებიც ოკუპანტების თარეშის დღეებში სამარესავით მდუმარე და უდაბნოსავით ცარიელი იყო, სავსეა ხალხით, ავტოებით. ბავშვები კვლავ გუნდაობენ.

ფილმი თავდება ფაშისტების მსხვერპლთა დასაფლავებით. ძმათა სასაფლაოს გარშემო ქუდების წრეა. ზღვა ხალხი დგას ქუდმოხდილი. თვალები ცრემლებით გვევსება, როცა ატირებულ პატარა გოგონას მოსწყვეტენ დედის კუბოს, როცა პირმოკუმული მეგობრები ძმათა სასაფლაოში ჩაასვენებენ დაღუპულთა გვამებს. გული ბოღმით, სიძულვილით გვევსება და შენც იმეორებ ორატორების მრისხანე სიტყვებს:

— შურს ვიძიებთ, ზღვა სისხლით ვაზღვევინებთ გერმანელ მტარვალებს საბჭოთა მოქალაქეების ყოველი დაღვრილი წვეთი სისხლისათვის!

ფილმი „განთავისუფლებული როსტოვი" მრავალმეტყველი საბრალდებო აქტია, რომელიც მთელ ქვეყანას უჩვენებს ჰიტლერელთა მხეცობას და კიდევ უფრო რაზმავს ჩვენს ხალხს გერმანელ ოკუპანტთა გასანადგურებლად.

რიონელი

თეატრებში

საოპერა—22 იანვარს—„დალალი", 23 იანვარს — „ტოსკა". **რუსთაველის სახელობის** — 22 იანვარს—„რღვევა", 23 იანვარს—„კიკვიძე". **მარჯანიშვილის სახელობის** — 22 იანვარს—„კრემლის კურანტები", 23 იანვარს—„მკაცრი ქალიშვილები". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი**—22 იანვარს — „გაიდარი" (მე-3 აბ., დასაწყ. დღის 4 ს.), 23 იანვარს—„პატარა მეომრები" (მე-16 აბ. დასაწყ. დღის 4 ს.). **ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული თეატრი** — 21 იანვარს — „50 წლის ახალგაზრდა", 22 იანვარს—„სევილ".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ. — „უკანასკნელი ღამე", კინოკრებული № 6, **ოქტომბერი** — „უმაღლესი ჯილდო", **დამკვრელი** — „მეგობრები", **სპარტაკი** — „მეგობრობა", **ლუქსემბურგის სახ.**—„თოჯინები კაცი", **26 კომ. სახ.**—„ინჟინერ კოჩინის შეცდომა", **კომინტერნი**—„იაკობ სვერდლოვი". **მეცნიერება და ცოდნა** — „საბრძოლო კინოკრებული № 1".

ლექციები და მოხსენებები

21 იანვარს, სად. 7½ საათზე, ჯაფარიძის სახელობის ბიბლიოთეკის დარბაზში (ამის ქ. № 2) შესდგება ამხ. **აკ. რამიშვილის** ლექცია ქართულ ენაზე. თემა: **„18 წელი ულენინოდ, ლენინის გზით, სტალინის ხელმძღვანელობით".**

შესვლა თავისუფალია.

22 იანვარს, სად. 9 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 41) შესდგება ამხ. **ა. ნიკიტენკოს** მოხსენება რუსულ ენაზე. თემა: **„დიადი თანამეგობრობა".**

23 იანვარს, საღამოს 8 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობის რაიკომის აგიტპუნქტის დარბაზში (საბჭოს ქ., № 134) შესდგება ამხ. **ზავრიევის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი".**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენინის სახელობის რაიკომის რაიონულ აგიტპუნქტში.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

106-ე საბავშვო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან ბაღის თანამშრომლის ნინო ნადირაძის ძმის
შალვა იორდანეს-ძე ნადირაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 21/I კუკიის სასაფლაოზე, გამოსვენება 5 ს. დიდომბარის ქ. № 25.

საქართველოს რადიოკომიტეტის მუშაკთა კოლექტივი იუწყება რადიოკომიტეტის თანამშრომლის ს. გერგიშვილის დედის
თებრო ილიას-ასულ გერგიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 22/I 5½ ს. ლარეხის, 1, კუკიის სასაფლაოზე. 64

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციისა და გამომცემლობის ადგილკომი იუწყება ამხ. პ. ჭიოკაძის მამის
აბრამ ჭიოკაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ხალიფაურში (ჭიათურის რაიონი).

რკინიგზის საავადმყოფოს თვალის სნეულებათა განყოფილება და კლინიკა იუწყებიან ამავე განყ. გამგის დოცენტ ივანე სიხარულიძის დედის
დარდო ბესარიონის-ასულ სიხარულიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. კალანდაძის, 10, დაკრძალვა 23/I 5 ს. 66

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

უე 169